

# სპორტიელი

ეროვნული  
ნიმუში

საორტული გავითი

სუთზაბათი 9 სექტემბერი 1999 №172 (945)

ფასი 50 თეთრი

## 4 ბერძნებმაც იზარალეს

ათენს დატენილმა  
ექვსბალიანმა  
მიწისძვრამ აეკ-ის  
სტადიონი დაანგრია

## 6 ბობი რობსონმა ნიუკასლში რეფორმებით დაიწყო

მის პირველ ვარჯიშს  
500-მდე ადამიანი  
დაესწრო

## 8 ჰინგისი-უილიამსი

## US OPEN

საქმე კორტზე,  
ნახევარფინალში გაირჩევა

## 10 ქართული ლეგიონი სლოვენიაში

ოთხი ქართველი  
კალათბურთელი  
ვლადიმერ სტეფანიას  
გზას ადგას



## 12 რაფარანდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ  
ლაურეატებს



ჯამალ  
ცერცვაძე

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. IX ტური  
8 სექტემბერი. 19 საათი. თბილისი. ეროვნული. 15 000 მაყურებელი



## საქართველო 2:2 ლატვია

1:0 შ. არველაძე (30), 2:0 ყაველაშვილი (52), 2:1 ბლეიდელი სი (62), 2:2 სტეპანოვი (90)



ზმა მლაღიდებლისა... დე იონგმა, ბოსკამპმა და გეგუჩაძემ გუშინ ვერაფერი შეასმინეს ქართველ ფეხბურთელებს

# ეს ტრაგედიაა!

## ქართული ფეხბურთი ლატვიელის თვალით

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები



REUTERS რასლოდგან

ნორვეგიელ სტეფან ივერსენს (167) სლოვენელთა კარში მეორე გოლი გააქვს

## ნორვეგია ესპანეთი შვედეთი



ეს გუნდები მეცხრე  
შესარჩევი ჯგუფიდან  
ადრევე გასულ ჩეხეთს  
და, ბუნებრივია,  
მასპინძლებს, ბელგიასა  
და პოლანდიას ევროპის  
2000 წლის ჩემპიონატის ფინალურ  
ეტაპზე წუხელ შეუერთდნენ.  
მათ მარაქში გარევა შექმლი  
იტალიასაც, მაგრამ ნუბოლოში  
დანიელებთან შეხვედრაში ფიასკო  
განიცადა, 2:0 იგებდა, 2:3 კი წააგო და  
სისარული, საგარაუდოდ, 9  
ოქტომბრისთვის გადაედო, როდესაც  
მინსკში ბელარუსს უნდა ეთამაშოს.  
ამრიგად, 24 ფინალისტიდან გასარკვევი  
თვრამეტის ვინაობა დარჩა.

იხილეთ მეექვსე-მეშვიდე გვერდი



მატჩის შედეგ

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები დამწუხრებულნი იყვნენ...

გამარჯვებას ნამდვილად ვიმსახურებდით, თავდაცვით, მეტოქეს ამკარად ვავლობთ...

მასპინძელთაგან განსხვავებით, ლატვიელები, საკმაოდ კარგ ხასიათზე იყვნენ...

ბიკანის რუბინის (ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი...



ლატვიელთა მწვრთნელი გარი ჯონსონი

ლნი. ჩემს გუნდში ვერაფერს გამოვარჩევ, ყველამ კარგად ითამაშა...

ვიტალის ზემოქმედების: „რას იზამთ, ასეთია ფეხბურთი. ალბანეთში 3:1 ვიგებდით...

ანდრეი შტოლცერსი: „ჩინებული თამაში იყო. თქვენები ბრწყინვალედ გამოიყურებოდნენ...

მოეშვნენ და დაცვაში ჩასხდნენ, რაც დიდი შეცდომა იყო. მათ ისევე უნდა გაეგრძელებინათ...

იურის ლაიზანსი: „შედეგითაც და თამაშითაც კმაყოფილნი ვართ. ქართველებმა დღეს ძალიან კარგად ითამაშეს...

პალმარის ივანოვი: „ძალიან გახარებული ვარ შედეგით. მართალია, მოგებას ვეგემავდით, მაგრამ, სიმართლე გითხრათ...

ალექსანდრე სტარკოვი (მწვრთნელი): „უფიქრობ, თქვენმა მწვრთნელმა დიდი შეცდომა დაუშვა...



ანგარიშის გათანაბრებით ლატვიელები კმაყოფილნი, ქართველები კი გულდაწყვეტილნი დარჩნენ

ფოტო: ანდრეი კაიტილიანი

ფოტო: ანდრეი კაიტილიანი

ფოტო: ანდრეი კაიტილიანი

ფოტო: ანდრეი კაიტილიანი

ფოტო: ანდრეი კაიტილიანი

ფოტო: ანდრეი კაიტილიანი

ფოტო: ანდრეი კაიტილიანი

დედაქმნი

ქართვალ შურნალისტებს უბოსკამპო პრესკონფორმობა მოგაზრდათ

საპრესკონფორმობა დარბაზში ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო განყოფილების უფროსის მოადგილეს — მამუკა კვარაცხელიას ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე პია პეშჩაძე შემოქვეყნა...

— თქვენებმა პირველი ტაიმი კარგად ჩაატარეს. განსაკუთრებით კი პირველ 25 წუთში მოქმედებდნენ მთამბეჭდავად...

— ესე იგი შედეგით უკმაყოფილო ხართ?

— რა თქმა უნდა. ჯგუფიდან გასვლის შანსის შენარჩუნებისთვის 3 ქულა გვეჭირდებოდა...

— რაიმე ცვლილებებს თუ შეიტანთ თქვენში წინამორბედის, რეგან ჰოქინგის გუნდის სათამაშო სტილში?

— ბოძაშვილის მიერ ჩატარებული სამუშაოთი ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენ კონტაქტი კარგა ხნის განმავლობაში გვქონდა...

— თამაშის დროს იძულებითი შეცვლების გაკეთება მოგვიხდა. მარცხენა მცველი გამოგვაკლდა...

მერე კი კაცნაკლებები დავრჩით და ამანაც ცუდად იმოქმედა. ფიზიკურმა კონდიციებმა გვიმტყუნეს და ეს იყო მთავარი მიზეზი...

ფსიქოლოგიური წნეხი. ყველა მოგებას ითხოვდა და ბიჭები დათრგუნვილები ჩანდნენ...

გვეუბნებოდა სიტყვა დამთავრა თუ არა, მამუკა კვარაცხელიას ვთხოვეთ, აღარ შეეყოფინებინა სტუმარი და მადლობა გადაეცა...

მერე ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი მოგვესალმა და კარგი მასპინძლობისთვის...

ეს ის რუბინისა 1964 წლის მოსკოვის „ტორპედოს“ და თბილისის „დინამოს“ ტრანსფერ მატჩზე რომ იმსახვა.

რუბინისმა თქვა, მართალია, მერქარება, მაგრამ მზად ვარ, რამდენიმე შეკითხვაზე ვიპასუხოთ...

— დღევანდელ ფრეს ჩვენ ქართული ფეხბურთის კატასტროფად მივიჩნევთ. თქვენ რას ფიქრობთ?

— მე უფრო უარეს შეფასებას მიცემდი. ეს არის ქართული ფეხბურთის ტრაგედია...


რატომ გატყდნენ თქვენები, ამის ახსნა მხოლოდ მთავარ მწვრთნელ ბოსკამპს ევალება. სხვათა შორის, სწორედ მას უთქვამს ლატვიელებზე 9 კაცს დაცვაში ამწესებენ...

დადგა მომენტი, როცა ქართველი შურნალისტებისა და ორიოდ ლატვიელი კოლეგის პირისპირ მხოლოდ მამუკა კვარაცხელია და ვია გვეუჩაძე დარჩნენ...

ჩვენი მხრიდან კი შემდეგი ითქვა: აქ ინტერესი არაფერ შუაშია. ბატონი ვიას საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მას დიდ პატივს ვცემთ და არ გვსურს კვლავ უზერულ მდომარობაში აღმოვჩნდეთ...

სპორტის სანიტიარი

Table with 8 columns (1-8) and 6 rows (1-6) showing match results and statistics.







# ბობი რობსონმა ნიუკასლში რეფორმებით დაიწყო


ინგლისური „ნიუკასლის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ბობი რობსონმა გადაწყვიტა, კლუბის იმიჯი აქედანვე შეცვალოს და გუნდს თავის პირველ ვარჯიშზე შურნალისტები და გულშემატკივრები დააბრუნოს. ადგილობრივი მედიის თქმით, რობსონისეული „ლია კარის“ პოლიტიკა ძალიან განსხვავდება იმ „რკინის კედლისგან“, რომლის უკანაც გუნდს მისი წინამორბედები — კენი დალგლიში და რუდ გულიტი მალავდნენ.

ვარჯიშს დაახლოებით ხუთასი მაყურებელი დაესწრო და იქაურებს კვირ კივანის ძველი, ტკბილი დრო გაახსენდათ, როცა „ნიუკასლის“ მეცადინეობებს ათასამდე ქომაგი უცქერდა. გუნდი დათქმულ დროს სრული შემადგენლობით გამოცხადდა, გარდა იმ ფეხბურთელებისა, რომლებიც სანაკრებო შეკრებებზე არიან გამოძახებული. მათ შორისაა ჩვენი ქვეყანის რობსონს კი ცოტა შეაგვიანდა. მერე რაღაც პატარა შესავალი სიტყვა წარმოთქვა, მოთამაშეებს სათითაოდ გაეცნო და ვარჯიშიც დაიწყო.

როცა გაოფილმა ბიჭებმა საწვრთნელი მიხდოდა დატოვეს, 66 წლის რობსონი შურნალისტებსაც გაესაუბრა. მისი თქმით, ბევრი კლუბი ვარჯიშზე მაყურებელთა დასრების წინააღმდეგია, მაგრამ თავად „ბარსელონას“ და „ეინდჰოვენში“ მუშაობის დროსაც ბაზაზე ყველა მსურველს უშვებდა: „მაყურებელი მე არ მაწუხებს და იმედია, არც ფეხბურთელებს შეუშლიან ხელს პირიქით, უნდა გვიხაროდეს, რომ ჩვენს სანახავად ხალხი მოვიდა“ — განაცხადა რობსონმა.

ახლა რობსონის მთავარი საზრუნავი გუნდის საშაბათო მატჩისთვის მომზადებაა, რომელსაც „ნიუკასლი“ სტუმრად ითამაშებს „ჩელსისთან“. შეგახსენებთ, რომ წლებადღეობის პრემიერლიგა „კაჭკაჭებმა“ ძალიან ცუდად დაიწყეს, ექვს ტურში მხოლოდ ქულის აღება შეძლეს და სატურნირო ცხრილის ბოლოში მოექცნენ. სწორედ ამ არეულმა სიტუაციამ განაპირობა „ნიუკასლიდან“ რუდ გულიტის წასვლა.

ლევან გომისაძე



ლიბერალი ბობი რობსონი

## საათს დახედეთ, სანამ რაიმეს ხელს მოახერხებ...

უეზამ განაცხადა, რომ „ვენეციადან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასული იტალიელი მეკარე მასიმო ტაბი ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს.

მოხდა ერთი მეტად კურიოზული ფაქტი:

ინგლისურმა კლუბმა მეკარე 4,5 მილიონ ფუნტად 31 აგვისტოს ღამის

12 საათისათვის შეიძინა. ეს დრო კი ჩემპიონთა ლიგაში გუნდების განაცხადთა შეტანის ბოლო ვადა გახლდათ. უეზა აცხადებს, რომ მათ ეს ინფორმაცია მხოლოდ პირველ სექტემბერს მიიღეს, როდესაც უკვე გვიან იყო. თავად ტრანსფერი პირველი რიცხვით არის დათარიღებული. საქმე ისაა, რომ კლუბმა ამ საკითხთან დაკავშირებით

უეზაში აპელაცია შეიტანა და ახლა 29 წლის საკმოდ გამოცდილი ტაბი, რომელსაც „მილანის“ შემადგენლობაშიც უთამაშია, ვენეციას განაჩენს ელის. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში წლებადღეობის ტრანსფერული გუნდი სასტიკი ბიუროკრატიული შეცდომის მსხვერპლი გახდება.



რობი კინი — პრემიერლიგის ახალი ვარსკვლავი

## რობი კინი ინგლისშიც აღიარეს

„ძოვანთის“ 19 წლის თავდამსხმელი, ირლანდიელი რობი კინი ინგლისში აგვისტოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ახალ კლუბში მან უკვე სამი ბურთის გატანა შეძლო და თავისი თამაშით ყველა აღაფრთოვანა. ირლანდიის ნაკრების შემტევმა გასულ კვირას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩშიც გაუტანა იუგოსლავიელებს (ის თამაში ირლანდიელებმა 2:1 მოიგეს), მაგრამ იმავე შეხვედრაში დაშავდა და სამი დღის შემდეგ ხოვრატებთან აღარ უთამაშია.

ასეთი აღიარებით თავად ლაურეატი ერთად გამოცხადებული დარჩა: „ძალიან გამიკვირდა, როცა ეს ამბავი გავიგე. პრემიერლიგაში ხომ ვერ ახალბედა ვარ. მიხარია, ასე რომ დამაფასეს. ვეცდები, გულშემატკივართა იმედები არც მომავალში გავანძილო“ — თქვა რობი კინმა.

## იუგოსლავიელთა სამი სახლი

უეზას თასზე მოთამაშე სამი იუგოსლავიური კლუბი „საშინაო“ შეხვედრებს პოლანდიაში, ბულგარეთსა და მაკედონიაში გამართავენ. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ქვეყნის გუნდებს ვადა ჰქონდათ დათქმული, რომლის განმავლობაშიც თუ ბელგრადის აეროპორტში ფრენა ძველებურად ადვილი

და, ისინი ჩვეულებრივად, შინ ითამაშებდნენ, თუ არა და... მოკლედ, „ცრენა ზვეზდა“, „მონპელიეს“ სოფიაში „ლეკსიკი“ უმსაინძლებს, „პარტიზანი“, „ლიდსს“ პერენევენი დაუხვდება, ხოლო „ნოვი სადი“ პრადის „სლაიას“ სკოპიეში, „ვარდარის“ სტადიონზე.

ბერმანისი ექსპედიციონ „კაიზერ-ლაუტერნის“ ხელმძღვანელობა ამჟამინდელი კაპიტნის, ჩირიაკო სფორცას გუნდიდან გაშვებას აპირებს, რადგან ფეხბურთელსა და მწვრთნელ ოტო რეპაგელს შორის ურთიერთობა ერთობ დაძაბა. როგორც კი რაიმე სერიოზულ წინადადებას მიიღებს, „სფორცა“ გუნდს დატოვებს და ეს რაც უფრო მალე მოხდება, მით უკეთესი — აცხადებს კლუბის დირექტორი. თავად ფეხბურთელი ჯერჯერობით დამხმარე მწვრთნელის მეთვალყურეობით ივარჯიშებს. რეპაგელის განცხადებით, კაპიტნის სამკლავურ ნახევარმცველი მარტინ ვაგნერი ან ფორვარდი ოლაფ მარშალი მორიგებს.

ინგლისურმა „მეთოხე არხმა“ იტალიურ სერია A-სთან პირდაპირი ტრანსლაციის უფლებაზე სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მაუწყებლობას კი პირველად 18 სექტემბერს „მილანი“ — „ბარის“ შეხვედრით გახსნის.

დანიურმა „ბრონდბიუმ“ აფრიკულ კლუბ „სანდაუნისგან“ 750 ათას დოლარად 25 წლის ფორვარდი ომარ ბარო იყიდა. ფეხბურთელმა, რომელმაც 34 მატჩი ჩაატარა საკუთარი ქვეყნის — ბურკინა ფასოს ნაკრებში და 10 გოლის გატანა მოახერხა, კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტს მოაწერა ხელი.

იტალიის „იუვენტუსის“ ფორვარდმა ფილიპო ინძაგამ „ბარის“ მწვრთნელ ფასეტის ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში უხიფელა. საქმე ისაა, რომ ფასეტის უთქვამს, ინძაგის მოწინააღმდეგის საჯარო მოხელე არტისტოლად წაქცევის დიდი ნიჭი აქვს და თუ იტალიაში ასეთები გამოვლინდები, საზღვარგარეთ ამგვარი ცრუგვარდებით ვერავის მოატყუებსო. „იუვენს“ თავდამსხმელი ფასეტის სიტყვებს აღუშფოთებია. ინძაგის თქმით, მწვრთნელს მისი ავტორიტეტის შელახვა სურს და ამიტომ სასამართლოშიც უჩივლებს.

იტალიური სერია A-ს „კალიარიმ“ „ფიორენტინასგან“ ორი ფეხბურთელი შეიძინა. ბრაზილიელ-ბელგიელი ლუის ოლივეირა და დომენიკო მორფო. „კაპიტა დელო სპორტის“ ცნობით, „კალიარიმ“ მათში 4,91 მილიონი დოლარი გადაიხადა. ამ ზაფხულს „ფიორენტინაში“ პრედერაგ მიატოვირისა და ენრიკო კიეზას მისვლამ საბოლოოდ გამოიწვია მინდორზე ოლივეირა-ბატისტუტას დუეტის გამოჩენა. ხოლო 23 წლის მორფეო, ეტყობა, გუნდის მწვრთნელის ჯოვანი ტრაპატონის ტაქტიკურ სქემაში ვერ ვდებოდა.

ბულგარეთის საფეხბურთო კავშირის ყოფილი შეფი ხრი-სტო დანოვი პოლიციამ ფინანსურ ოპერაციებში მატჩმანიისათვის დააკავა. ყოფილი ბანკირი და ბიზნესმენი 420 000 დოლარის არაღიარებულ მითვისებაშია ეჭვმიტანილი. შეგახსენებთ, რომ დანოვი საფეხბურთო კავშირის სათავეში 1994-დან 1995 წლამდე ედგა.

მადრიდის „რეალის“ მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა გუნდის ახალწვეულ ნიკოლა ანელკას სრული მხარდაჭერა აღუთქვა: „მას უდიდესი ტალანტი აქვს, იგი ჯერ მხოლოდ 20 წლისაა და 7 კვირით კი არა, 7 წლით შევიძინეთ. ახლა ნიკოლას საჭიველი არ მადარდება, მხოლოდ ის მაკვირვებს, რომ ვილაცას სურს, მისი ტალანტი ეჭვქვეშ დააყენოს. რაღაც გარკვეული პერიოდი საჭირო, რათა ანელკა მადრიდულ კლუბს შეეგუოს.“

იაპონიამ ბანგლადეშის თასი დაისაჯურა, როცა განის ნაკრები დამატებით დროში 3:2 დაამარცხა. მატჩის გმირი ტაკაში ტაკაჰაში გახდა, მან დამატებით დროში გამარჯვების გოლი გაიტანა. მანამდე იაპონელთა შემადგენლობაში ორჯერ კოჯი კატაოკამ გამოიჩინა თავი. განა პირველი ნახევრის შემდეგ მინდორზე ათი კაცი დადარჩა. მათ შეკარგე ოსეი ბოატონგი გაუშვეს, მაგრამ აბდულ რაზაკისა და ბაგა ამანდოს გოლებით მინც შეძლეს თამაშის დამატებით დროში გადაყვანა.

იაპონიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელ, ბრაზილიელ რენე სიმოსს, მისი გამო, რომ პოსპიტალში იმყოფებოდა, ოთხშაბათს ამერიკასთან მატჩის გამოტოვება მოუხდა. გუნდის თავკაცს რამდენიმე დღით ადრე კანადასთან განცდილი მარცხის შემდეგ წნეგამ აუწია და სასწრაფოდ საავადმყოფოში დასაწვენი გახდა. 46 წლის მწვრთნელს უახლოესი ორი კვირის განმავლობაში გამოკვლევებს ჩაუტარებენ ტორონტოში.

## ასე არ უშიძლება

ბელჯიის ფეხბურთის ფედერაციამ გუნდს განაცხადა, რომ ბრიუგეს მერის ქალი, „ანდერლეხტის“ გულშემატკივრებს ჩემი ქალაქის სტადიონზე არ შეუშვებო, უარესია, რადგან ამან შესაძლოა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვიოს. ფედერაციამ ბრძანა, რომ კვირის შეხვედრა „ბრიუგე“-„ანდერლეხტი“ აუცილებლად ჩატარდება, ხოლო მერის, პატრიკ მონეარტის ინიციატივა სპორტულ ეთიკას აბსოლუტურად ეწინააღმდეგება და ვანდალებს ქვეყანაში სპორტისა და საზოგადოებრიობის წინააღმდეგ ლაშქრობისკენ აქეზებს. ეს ამბავი ჯერ კიდევ ივლისიდან მოდის, როდესაც მონეარტმა ბრიუსელის გუნდის, „ანდერლეხტის“ გულშემატკივრებისთვის 12 სექტემბრის შეხვედრაზე დასაწრები ბილეთების გაყიდვა აკრძალა. მიზეზი ის გახლდათ, რომ ამ გუნდების გასული სეზონის დაპირისპირების დროს „ანდერლეხტის“ ფანებმა ბრიუგეს სტადიონზე პალსტიკატის სკამები აყარეს და მოედანზე ისროდნენ. მიუხედავად ამისა, ფედერაციამ გაილაშქრა ბრიუსელელთა სარბიულზე არშეშვებისა და მხოლოდ შემოწმებული-გადამოწმებული გულშემატკივრების გატარების წინააღმდეგ. „ის, რასაც ბრიუგეს მერი აპირებს, ავტომატურად გამოიწვევს ახალ რეაქციას და ვშიშობთ, რომ სტადიონს გართი შესაძლოა დიდი უსიამოვნებები ატყვას“ — წერს ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში. რაც შეეხება საფეხბურთო ხულოგნობის წინააღმდეგ ბრძოლას, ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის აზრით, იგი ხანგრძლივი პროგრამის საგანს წარმოადგენს და თუ საჭიროა, ამ პროგრამაში ყველაზე მკაცრი ზომებიც უნდა შეიტანონ. შეგახსენებთ, რომ ბელგია პოლანდისთან ერთად ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის მასპინძელია, ხოლო ქვეყნის ჩემპიონატში „ბრიუგე“ 100 პროცენტისა შედეგით ლიდერობს. „ანდერლეხტი“ მას ორი ქულით ჩამორჩება და მთორე ადვილზეა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფის კომპანია საქმელეკომ პლუსი  
☎ 99 67 67, 98 30 20

# დაპოუკიდებლობის დღე პორტუგალიაში

ამხანაგური მატჩი

ბრაზილია 4:2 არგენტინა

1:0, 2:0 რივალდო (41, 42), 2:1 აიალა (45), 3:1 რივალდო (70), 4:1 რონალდო (82), 4:2 ორტიგა (88)

ბრაზილია: დიდა, კაფუ, ანტონიო კარლოსი, შეიდეტი, რობერტო კარლოსი, ემერსონი, ვამპეტა (ასუნსაო 68), ზე რობერტო (ფუნინიო 71), რივალდო, რონალდინიო (ელბერი 67), რონალდო არგენტინა: ბანანი, ვივასი (მუსიანი 72), აიალა, სამუელი, ძანეტი, რედონდო (სიმონე 59), ვერონი (შელოტო 56), სორინი, ორტიგა, გონსალესი (გალიარდო 46), კრესპო (ლოპესი 79)

ყველაფერს თავისი ანგარიში აქვს მაგალითად, ბრაზილია და არგენტინა ორ ამხანაგურ მატჩს რომ მართავენ ერთმანეთში, ერთი, რომ დონის აძლევას უწყობს ხელს, მეორეც, რაგინდ გაკვეთილ ფრაზად გვევლინება, ზალხთა შორის მეგობრობას ემსახურებიან. მეორე მოსაზრების განსამტკიცებლად იმის მოვიყვანთ, რომ მსოფლიო ფეხბურთის ამ ორმა გრანდმა ერთი თამაში ბუნურს აირგეს ჩაატარა, მეორე კი პორტუგალიაში ანუ ერთი არგენტინაში, ხოლო მეორე ბრაზილიაში.

სავარაუდოდ, ზალხთა შორის მეგობრობას ორი მატჩის ჯამური ანგარიშიც განამტკიცებს — 4:4, თუმცა უმორჩილესად გთხოვთ ამ წინადადებას გარიგებაზე ქარავმად ნუ ჩამოვართმევთ.

თავისი ანგარიში ჰქონდა იმასაც, რომ ბრაზილიის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა, ვანდერლემ ლუქსემბურგომ, მეორე შეხვედრის დამთავრება-

მდე 19 წუთით ადრე ზე რობერტოს ნაცვლად მიედანზე ჟუნინიო შეუშვა. ჟუნინიო, ბუნებრივია, ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი პორტუგალიელებს სტადიონის გაზონზე გამოჩენა უფრო ბრიტანეთის შრომის სამინისტროს საფურადღებო აქცია გახლდათ. მოგეხსენებათ, ჟუნინიო მადრიდის „ატლეტიკოდან“ პრემიერლიგის „მიდლსბროში“ გადადის და ერთადერთი პრობლემა აქვს: ბრიტანეთში მუშაობის უფლება. ამისათვის გამთამაშებელს ეროვნული ნაკრების წევრობა სჭირდება...

თუმცა, თავი დავანებოთ ზალხთა შორის მეგობრობასა და საფეხბურთო დიპლომატიას. სჯობს, ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებების მეორე შეხვედრის წვრილმანებში ჩავიხედოთ.

მასპინძელთა თავდასხმა ერთობ საზიფათო გახლდათ: რივალდო, რონალდო და რონალდინიო ანუ იგივე რონალდო ასისი. ამ ტრიოდან „ბარსელონას“ წამყვანმა ძალამ, რივალდომ სამივეს საქმე იკისრა — პეტ თრიკი შეასრულა, მაგრამ რონალდო რის რონალდო იქნებოდა თავის წილ ერთი მაინც რომ არ შეეგდო. უგოლოდ მხოლოდ რონალდინიო დარჩა.

ისე, რივალდოს არ გაუმართლა, რადგან მე-12 წუთზე გატანილი გოლი ოფსაიდად მიიჩნიეს და არ ჩაუთვალეს.

სტუმართა მხრივ, პირველი ტაიმის წამატებულ წუთებში რობერტო აიალა გამოიჩინა თავი. შესვენების შემდეგ არგენტინელე-



არგენტინელი ლოპესი ბრაზილიელ ვამპეტას გადააფრინდა

ბი გაცილებით საზიფათოდ თამაშდნენ. ამაში მთავარი როლი მიედანზე მარსელო გალიარდოსა და დიეგო სიმეონეს გამოჩენამ ითამაშა. სიმეონემ და გალიარდომ არგენტინელებს თავდასხმისკენ ლტოლვა გაუძლიერეს, მა-

გრამ სტუმრებს მაინც ემჩნეოდათ ნაკლი. ეს დაცვის სისუსტე გახლდათ. რივალდომ თავისი საუკეთესო გოლი 70-ე წუთზე სწორედ არგენტინელი დაცვის სიზანტის წყალობით გაიტანა. მაგრამ ბრაზილიელებს თავიანთი

ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს საგლობალური სხვაობით გამარჯვება არ ეწერათ. საფინანსო სასტრატეგიად ორი წუთით ადრე ორტიგამ ანგარიში შეცვალა.

მიხეილ სურგულაძე

## გასეიბე დიდებულთა გელგია კრიზისიდან გამოდის

ამხანაგური მატჩი

ბელგია 4:0 მაროკო

1:0 სტალენსი (9ა), 2:0 ვალემი (18), 3:0 ე. მპენზა (20), 4:0 შტრუპარი (87)

ბელგია: დე ვლიეგერი, დეფლანდრი (ბროკენი 46), პეტერსი, სტალენსი (დე ბუკი 46, პოფენსი 56), ვან კერკოფენი (ჰენდრიკსი 46), ვერპეინი (მ. მპენზა 73), ვანდერბაეგე, ვალემი, გორი, შტრუპარი, ე. მპენზა

მაროკო: ფუამი, საბერი, ელ ჰადრივი (ბრაში 46), ნიბეტი, ელ ხატაბი (როსი 46), კაჟლუი (ზურული 46), ჩიბა, ჰაჯი, ჩიბო, ტაპარი, ჰადა (ანზინი 75)

ბელგიის ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა რობერტ ვასიეგემ „წითელ ეშმაკუნებს“ (ბელგიელთა მეტსახელია) ახალი სული შთაბერა და ურწმუნოებს ცინიკური სიცილი სახეზე შეაცივდათ — ასე ახასიათებს ბელგიური მედია ვასიეგეს დებიუტს. წინა მწვრთნელის, ჟორჟ ლიკენსის თავაკაცობით „ეშმაკუნებს“ ათი თამაშიდან მხოლოდ ერთი მოეგოთ. სწორედ ამიტომ ალაპარაკდნენ ბელგიური ფეხბურთის ღრმა კრიზისზე, მაგრამ აი, ახალმა დამრიგებელმა, როგორც ჩანს, საქმე გამოასწორა.

შაბათს ბელგიელებმა როტერდამში პოლანდიასთან ფრედ 5:5 ითამაშეს, სამშაბათს კი მეორე ამხანაგურ მატჩში, რომელიც ლიეჟში გაიმართა, მაროკოს საკმაოდ ძლიერი გუნდი განადგურეს — 4:0. მასპინძლებმა სამი ბურთი საწყის 20 წუთში შეაგდეს, თუმცა, ვასიეგეს თქმით, დროის იმევე მონაკვეთში კიდევ ორი რეალური მომენტი ვერ გამოიყენეს. საბოლოო წერტილი კი დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ბრანკო შტრუპარმა დასვა.

ვტვობა, ბელგიის ნაკრების ფეხბურთელებსაც მოსწონთ ახალი მწვრთნელი. ფორვარდი ემილ მპენზა ამბობს, რომ ახლა გუნდს მოტივაცია და მაღალი მიზნები გაუჩნდა, ხოლო მისი ძმა მხოლოდ ვასიეგეთი აღფრთოვანებულია: „ჩვენ კარგად ვთამაშობდით. ის დიდებული მწვრთნელი“.



ჰიდეტოში ნაკატა (მარცხნივ) — იაპონელთა კერპი

## ნაკატა გუნდის ლიდერია

იტალიის სერია A-ში მოთამაშე იაპონელი ლეგიონერი ჰიდეტოში ნაკატა საკუთარი ქვეყნის 22-წლამდელთა ნაკრების რიგებშია მინვეული.

მან სამხრეთკორეელთა წინააღმდეგ მატჩში, რომელიც იაპონიამ 4:1 მოიგო, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგი ფაქტობრივად მოედნის ცენტრის ბატონ-პატრონი გახლდათ. სწორედ ამიტომ ბურთთან მის ყოველ შეხებას ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე შეკრებილი 45000 გულშემატკივარი აღფრთოვანებაში მოჰყავდა.

„ეს ჩემთვის პირველი მატჩია ამ გუნდთან, ამიტომ შეიძლება ყველაფერი ზუსტად ვერ გამოგვივიდა, მაგრამ საბოლოო ჯამში ნაკრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა“ — ამბობს თავად ფეხბურთელი. იაპონიის ახალგაზრდული ნაკრები სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევ მატჩებში ტაილანდელ, ყაზახ და სამხრეთკორეელ თანატოლებთან ასპარეზობს. სიდნეიში გამგზავრების შანსი კი გუნდს მხოლოდ პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში აქვს.


ნაკატას შესანიშნავი თამაშის წყალობით იაპონიამ შეხვედრა ჩინებულად ჩაატარა და ღირსეულადაც გაიმარჯვა.

ნიკა შუბლაძე

ვითარებაში სამსახურს კომპიუტერზე კვალიფიციურად მუშაობა ახალგაზრდა ქალს

დარეკატი 93 16 08

12-დან 15 საათამდე



კარლ ჰოფენსმა და მისმა ბელგიამ ჰიმამ ზერუალის მაროკო გახედნეს







# კარგი მთქმელი, ცუდი ბამბონა



ტოდ მარტინი



ბარბარა შტი

## US OPEN

მაშ ასე კამათი და კინკლაობა საპრესკონფერენციო ოთახებიდან ცენტრალურ კორტზე გადაინაცვლებს — უილიამსების ოჯახსა და მარტინა პინგის შორის ტურნირის პირველი კვირიდან მიმდინარე გამოუცხადებელი ომის გამარჯვებულს ნახევარფინალური ორთაბრძოლა გაარკვევს.

„ეს ძალიან, ძალიან დაძაბული შეხვედრა იქნება. მარტინას გაუჭირდება, ვინუსი ძალიან აგრესიულად და ძმულაურად თამაშობს“ — მიაჩნია ანკე ჰუბერს. „გამარჯვებული წინასწარ გამოცნობა შეუძლებელია, ორივეს თანაბარი შანსები აქვს“ — აცხადებს ბარბარა შტი.

მეთოთხედფინალში პინგისცა და უფროსი უილიამსიც შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ჰუბერთან შეხვედრაში პირველი ორი გეიმი წააგო, მაგრამ არტურ უმის სახელობის სტადიონზე მოპარპაშე ქარს სწრაფად აუღო ალლო, იქიდან მოყოლებული თითქმის ერთი შეცდომაც აღარ დაუშვია და ზედიზედ თორმეტი გეიმიც მოითვალა.

„თავდაცვით გამოვივირდი, ისე იოლად გავიმარჯვე. ვფიქრობ, ამჟამად უბრალოდ ძალიან კარგად ვთამაშობ, საკუთარი ძალების მყურა და ამის მიზეზიც მაქვს“ — შორი გზიდან არ მოუვლია სათქმელისთვის პინგის.

იმედგაცრეხულ გერმანელს მეტოქის ასეთი უპირატესობის ახსნა არ გასჭირვებია: „მან ქარი ძალიან კარგად გამოიყენა თავის სასარგებლოდ. მარტინა ძალიან ჭკვიანი ჩოგბურთელია, ყველაზე ჭკვიანი ქალ ჩოგბურთელთა შორის“.

ჰუბერის შეფასებას უფროსი უილიამსიც დაეთანხმა, თავად პინგისმა კი ქება შეიფერა: „ზოგი ჩოგბურთელი მღიჯიერად ურტყამს, ზოგი მაღალია, მე კი მოსაგებად სხვა არაფერი უნდა გამოიყენო. პირველი ჩოგანი ვერ ვიქნებოდი, კორტზე აზროვნება რომ არ შემიძლოს“.

პინგის ნიჭს ტურზე ბევრი აფასებს. უილიამსის მეტოქე შეტემა ვინუსთან შეხვედრის წინ 18 წლის შევიცარიელს ჰკითხა, რა ტაქტიკით ვითამაშო.

„მარტინამ მითხრა, ფორპენდის მხარეს მძლავრად და დაბლა დაურტყი, ბექჰენდისკენ კი უფრო მაღალი ბურთები გალაუდეო. რჩევები მართლაც

სწორი გამოდგა, მაგრამ მათ შესრულებაში ქარმა შეშინა ხელი“ — დანებობით განაცხადა ავსტრიელმა, რომელსაც წინა დღეს ბებია გარდაეცვალა. ასე იყო თუ ისე, შეტემა ვინუსს გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია, პირველ ხელში ერთადერთხელ დათმო მოწოდება, მრისხანე მეტოქე მეორეშიც კარგა ბლომად არბინა და დიდი სლემის ტურნირებზე კარიერის პირველ მეთოთხედფინალში თავი ნამდვილად არ შეურცხვენია.

ოლონდ ეგ იყო, ვინუსი თითქმის ყველა ბურთს უსწრებდა და მეტოქისგან განსხვავებით, მნიშვნელოვან მომენტებშიც ხელი არ უკანკლებდა: „რამდენიც ვინდა, იმდენი რჩევა მიეცა მისთვის მარტინას. თუ თავად არ ვარაუბებ ვინმეს მოგებას ბევრი უნებლიე შეცდომით, ჩემი დამარცხება ძალიან ძნელია“.

თავდაჯერებას არც უფროსი უილიამსი უჩივის.

— რომელი მოივებთ, შენც და მარტინაც შესაძლებლობების მაქსიმუმით რომ თამაშობდით? — ჰკითხეს ვინუსს.

— მე — არ დაუხანებია ამერიკელს. პინგის ამის შესახებ, რა თქმა უნდა, განსხვავებული აზრი ექნება. პასუხს ნახევარფინალში კორტზე შევიტყობთ. იმას, რაც მერვედფინალში ტოდ მარტინმა მოახერხა, მეკვდრითი აღდგომის გარდა ვერაფერს უწოდებ — გრეგ რუხეციკისთან მატჩის მანძილზე ორჯერ, მარტინის პირს მყოფმა ამერიკელმა თავი დაიპირინა და საბოლოოდ მეთოთხედფინალის საგზურიც გაიფრთხილა.

თითქმის მთელი სამი სეტის განმავლობაში მარტინის მდგომარეობა უიმედოდ გამოიყურებოდა — შესანიშნავად მოთამაშე რუხეციკი ერთხელ ზედღიზედ 9 გეიმიც კი მოიგო და გასამარჯვებლად მეისამე ხელში 5:4-ზე საკუთარი, მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების შენარჩუნებალა სჭირდებოდა.

„ფიფქრე, ველარაფერი გადამარჩენდა, მაგრამ მანამდე საძაგლად თამაშისთვის მაყურებლების წინაშე დანაშაულის გამოცხადება მინდოდა და ბოლომდე არ დაგნებდი“ — განაცხადა მოგვიანებით ამერიკელმა, რომელსაც სამსათიანი მატჩის დასრულებისას ვენებში ჰემოდების შეყვანა დასჭირდა. მარტინამ რუხეციკის მოწოდება აართვა, მერე ტაი-ბრეიკზე შესანიშნავად გაისარჯა და ქომაგების მხარდაჭერით გუნებაზე მოსულმა მალე ანგარიშიც გაათანაბრა.

გალიზიანებულმა რუხეციკი თავის მხრივ წუწუნს მიჰყო ხელი, მაყურებლები ჩემს შეცდომებზე ტაშს რად უკარეწო, ეს მარტინი ქულებს შორის ნებადართულ 25 წამზე გაცილებით მეტს ისვენებდა, მაგრამ მთავარ მსაჯეს ვერაფერი დასტყუა.

ინგლისელს მოგება მაინც შეეძლო — გადამწყვეტ, მეხუთე სეტში 4:1 დაწინაურდა და ამდენი გარჯა მარტინს კინაღამ წყალში გადაუყარა. თუმცა ამერიკელმა მორიგი სასწაული გამოაცხა: აქედან მოყოლებული მატჩის ბოლომდე 21-დან 20 ქულა მოიგო და კარიერაში მეორედ „ოუფენის“ მეთოთხედფინალში გააღწია.

„არ ვიცი, რამ უფრო მიშველა, ქომაგებმა თუ მარილის ყნოსვამ, მაგრამ სტადიონზე არაჩვეულებრივი ატმოსფერო იყო, შესანიშნავი მატჩი გამოდგა“.

უილბლო რუხეციკის კი ბუნებრივია, დანა პირს არ უხსნიდა: „ამჟამად მხოლოდ ის ვიცი, რომ საშინლად უბედური ვარ; წაგებას არავის დაგებარებ, ყველაფერი ჩემი ბრალია, როცა საჭირო იყო, უკეთ ვერ ვითამაშე. მეთოთხედფინალში მე უნდა გავსულიყავი“.

ამასობაში კი ტრავმამ კიდევ ერთი (უკვე მეშვიდე) კაცი ჩოგბურთელი შეიწირა: ამჯერად მატჩის დასრულება შესანიშნავი ფორმაში მყოფმა შევდმა მაგნუს ნორმანმა ვერ მოახერხა. იგი მეხუთედ განთესილ გუსტაო კუერტენს 6:5-ს უგებდა, რომელსაც უწყინარ სიტუაციაში ზურგი დაიზიანა და გეიმებს შორის შესვენებაზე ექიმს უხმო. მასაჟმა და ცხელმა მალამომ საქმეს ვერ უშველა, შეედა მძიმარობა უჭირდა და მალე დანებდა.

„ძალიან გამიმართლა. იგი ჩემზე უკეთ თამაშობდა“ — აღიარა „გუგამ“, თუმცა ამით წლეულს ოთხი ტურნირის მომგებ ნარმანს რა ხეირი.

### ამთავრდა სანიმში

ქალები	
მეთოთხედფინალი	
მარტინა პინგისი (1, შვეიცარია) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:2, 6:0;	
ვინუს უილიამსი (3, აშშ) — ბარბარა შტი (12, ავსტრია) 6:4, 6:3.	
კაცები	
მერვედფინალი	
მუსტაფა ქუარტანი (5, ბრაზილია) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 7:6 (7:4) ტრავმა; ტოდ მარტინი (7, აშშ) — გრეგ რუხეციკი (9, ინგლისი) 5:7, 0:6, 7:6 (7:3), 6:4, 6:4;	
საიმარიკ პიოლინი (საფრანგეთი) — ტომი პაასი (14, გერმანია) 6:4, 7:5, 6:3 სლაზა დონაილი (ჩეხეთი) — ირფი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:4, 7:5, 5:7, 7:5.	

## სხვადასხვა

\*\*\*

აშშ-ის ღია პირველობის ორგანიზაციის, პატრიკ რაუტერის ორგანიზაციის მიერ დარჩენილ სეზონს გამოტოვებს, თუ მხრის ტრავმის გამო ლევისის თანხის ნახევარფინალში ვერ მოახერხებს თამაშს. კიკინან ავსტრალიელს ნიუ იორკში პირველი ტრავმა მთავარი სეზონი მოუხდა თამაშის გაგრძელებაზე უარის თქმა და საგნებით შესაძლებელია, ვერც თავის ნაკრებს დაეხმაროს 24-26 სექტემბერს რუსეთთან შეხვედრაში. ექიმები საბოლოო გადაწყვეტილებას ორ-სამ დღეში მიიღებენ.

„თუ თამაშს შეეძლებ, შინ, ბრისბენში გავემზადებოდი — აღინა ვახუთ „სანდი ბილი“ რაფტერმა — თუ ვერ შეეძლებ, მაინც იქ გავემზადებოდი, გუნდს უკუგულშემატკივებ, მერე კი ფეხს ფეხზე გადავიდებ და დარჩენილ სეზონს ალბათ, უეჭველად გავაცდენ. მომავალზე ხომ უნდა ვიფიქრო“.

რაფტერმა ATP ტურზე მომრავლებული ტრავმები გადატვირთულ კალენდარს დააბრალა. ახალ წლამდე უთამაშებლობის შემთხვევაში მას კლასიფიკაციაში საუკეთესოა ოცეულიდან გავარდნა, ესე იგი მშობლიურ ავსტრალიის ღია პირველობაზე განთესვის გარეშე დარჩენა ემუქრება, თუმცა მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს ეს არ ანაღვლებს.

„მთავარი ის არის, მხარი წესიერად რჩინო. ამ სამი თვის გაცდენა ჩემს კარიერას არაფერს დააკლებს“.

\*\*\*

ამერიკელმა ჩანდა რუბინმა ავსტრალიის ღია პირველობაზე თურქულ ელექტრონული ფოსტით სიკვდილის მუქარა მიიღო და ისე დაშინდა, ერთხანს თამაშზე უარის თქმას აპირებდა.

საბედნიეროდ, ჩოგბურთის სამყაროს თავისი ჩიკატილოსი არ უნდა ეშინოდეს — მუქარის ავტორს, 17 წლის მელბურნულ სკოლის მოსწავლე პეტერ სტიპისანოსს, ყველაფერი მხოლოდ ბოროტი ხუმრობის მიხედვით გაუკეთებია და იქნებ თანატოლებთან თავსაც კი იწონებდა ამით.

იმ დღეს სტიპისანოსი მეგობრებთან ერთად ანა კურნიკოვასა და მარტინა პინგისის მატჩს დაესწრო, მერე სტადიონზე მდებარე კომპიუტერს მიუჯდა და რუბინს რასობრივი დამცირებებითა და სალანდავი სიტყვებით სავეს წერილი მისწერა, რომელიც ასე სრულდებოდა: „მე შენ პირდაპირ კორტზე მოგკლავ“.

რუბინს წერილის შესახებ რომ შეატყობინეს, თავიდან ეფიქრობდა, სათამაშოდ არ გასულიყო, თუმც საბოლოოდ კორტზე მუხლების კანკალით გამოცხადდა და დამარცხდა კიდევ.

თუმცა იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის: მელბურნულმა პოლიციამ ხუმარა მოსწავლე მალევე გამოიჭირა, ამ ორშაბათს კი სასამართლო პროცესიც შედგა. სტიპისანოსის ადვოკატის მტკიცების მიუხედავად, ჩემმა კლიენტმა არ უწყობდა, რას იქმოდო, მას ექვსი თვის მანძილზე საზოგადოების საკეთილდღეოდ 100 საათი შრომა და 250 დოლარი ჯარიმა დაეკისრა.

\*\*\*

აშშ-ის ღია პირველობის შარშანდელ გამარჯვებულ ლინდსი დევენპორტს ურჩევია, „ფლაშინგ მელოუზზე“ საკუთარი მანქანით იაროს, მიუხედავად იმისა, რომ გზად ზოგჯერ გვარან წინააღმდეგობას ხდებდა.

შარშან, ნახევარფინალში გამარჯვების შემდეგ, როცა დევენპორტი შინ მიემგზავრებოდა, ტრაიბოროს ხიდან ტრანსპორტის უზრუნველყოფის მოხელის მიერ შეტევილი ფინალში უნდა მეთამაშა და ამ დროს უკან დასაბრუნებლად საათი და 45 წუთი დამჭირდა. ძალიან ვინერვიულე.

— ამდენმა მანქანამ რატომ მოიყარა თავი?

— მთელი ხიდი დაკეტილი იყო, რადგან ვიღაც თვითმკვლელს გადახტომა მოეპარინა. ახლა გამგზავრებამდე ახალ ამბებს ვუსმენ-ხოლმე, რომ მსგავსი სიტუაციები თავიდან ავიცილო.

\*\*\*

თუმცა „ოუფენზე“ გვარანი დრო მარტო მგზავრობამ კი არა, მანქანიდან კორტზე მისვლამაც შეიძლება დაგაკარგვინოთ. თუ ანდრე მელვედეს ვერწმუნებით, მანქანების გასაჩერებელი ადგილი უბრალოდ, არანორმალურად შორსაა. „ნიუ იორკში ჩემს ბინაში ვცხოვრობ, ამიტომ სტადიონამდეც პირადი მანქანით მივდივარ. გასაჩერებელი ადგილი ორგანიზატორებმა სექტორ E-ში გამომიყვეს. მოდიო, უბრალოდ გართობის ან ცნობისმოყვარეობის გამო შეეცადეთ იმ სექტორიდან აქამდე მოსვლას, თანაც ჩანთით. დარწმუნებული ვარ, თამაშის ხალისი კი არა, ძალია აღარ შეგრჩებათ“.

როლან გაროსის ფინალისტ უკრაინელს „ფლაშინგ მელოუზთან“ დიდი ხნის მტრობა აკავშირებს: სწორედ მან განაცხადა 1993-ში, რომ ადგილობრივი სასადილო ჩოგბურთელებს მოწამლული პიურეთი კეებაგა და თანაც ძალიან ეზიზღებოდა ეს ტურნირი.

მოუხედავად იმისა, რომ მედვედევი წლეულსაც მოიწამლა ლეიტონ ჰიუიტთან შესამე წრის შეხვედრის წინ, საჭმელების მიმართ პრეტენზიები ამჯერად აღარ გამოუთქვამს, თუმც ტურნირის ორგანიზატორები მაინც გვარანად შეასურა.

„ოუფენი“ ამდენ ფულს აკეთებს და ამხელა ბიუჯეტი აქვს, გასაზღვლებში და მოსასვენებელ ადგილებში კი უფასო ლულის გარდა ახლაც ყველაფერი საშინელია. ჩვენ აქ სათამაშოდ მოვდივართ და არა იმისთვის, რომ რბილ სავარძელში მოგვკალიდეთ, ირგვლივ კი დიდი სივრცე გვექნედეს და შიშველი გოგონები დარბოდნენ, მაგრამ ცოტა ხეირიან სათავსობებს ნამდვილად ვიმსახურებთ. ვფიქრობ, 256 ჩოგბურთელისთვის 4 ტუალეტი საკმარისი ნამდვილად არ არის“.



ანდრე მელვედეს „ოუფენზე“ არაფერი მოსწონს

REUTERS ნიუ იორკიდან

# ქართული ლეგიონი სლოვაკიაში

## თავის დროზე სტრატეგიაზე ასე დაიწყეთ...

ერთი დროს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი და იუგოსლავიის ფედერაციაში შემავალი სლოვენიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი ლიუბლიანა დაძმობილებული ქალაქები იყვნენ. დღეს ინტერინდელი ძმობა ძალიან ცოტას, ძირითადად უფრო ახალი ხალხს, მაგალითად, ლიუბლიანის მერიის რომელიმე ხანდაზმულ თანამშრომელს თუ ახსოვს.

ცნობილი ბალკანელი კინორეჟისორის ემირ კუსტურიცას ფილმში „უკავი ბოშათა“ ლიუბლიანა იუგოსლავიელი ბოშების საოცნებო ქალაქია, სამყაროს ჭიბია.

ქართველებსთვის ლიუბლიანა ნაღდად არ არის სამყაროს ჭიბი, დღეს ჩვენებურებს ვერც ლიუბლიანაზე უკეთესი ქალაქი გააკვირვებ, ვერც — უარესი. ისევე, როგორც სხვადასხვა ქალაქებს ვერ გააკვირვებ ნაირ-ნაირი ქართველებით. თუმცა, ერთი რამ ფაქტია — სლოვენის დედაქალაქში ქართველები ითითქმის არ ცხოვრობენ, ამბობენ, იქ მხოლოდ ერთი ქართული ოჯახი სახლობს.

ლიუბლიანა ის ქალაქია, სადაც ქართველებზე მხოლოდ კარგს ფიქრობენ. ამის მიზეზი კი სლოვენიაში და მის დედაქალაქში ყველაზე პოპულარული ქართველი, კალათბურთელი ვლადიმერ სტეფანიანია. ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ყოფილმა წევრმა და ერთ-ერთმა ლიდერმა სახელი კარგი საქმეებით გაითქვა და არა პირიქით. ამიტომაცაა, რომ იგი ლიუბლიანაში უყვართ და პატივს სცემენ. მის თანამშემოლებებს კი იქაურმა ტაქსისტმა, შეიძლება, მზავრობის თანხა გაუნახვევოს, ხოლო ბარში მოქიფვე ლიუბლიანელი ძიაკაცი ძიელი საღამო თავის ხარჯით გაუმასპინძლდეს.

დღეს სტეფანიანა ლიუბლიანაში აღარ ცხოვრობს, სიეტლში გადაბარდა, მაგრამ მის გზას კიდევ ოთხი ქართველი ბიჭი ადგას. ამათ ვლადიმერის თანხი ლიუბლიანა ჯერ არა, მაგრამ ქალაქის სპორტული, ვანსაკუთრებით კი საკალათბურთო სამყარო იცნობს. ნუ გამოვიტყვებთ, რომ ისინი პოპულარობით სტეფანიანს გაუტოლდნენ ან გადააჭარბონ, რადგან ვისაც კი ვაგეარენ, მათზე ყველა კარგს ამბობს.

ოთხი ქართველი კალათბურთელი, სლოვენის სხვადასხვა კლუბების წევრები, მაგრამ ერთ გუნდში, ლიუბლიანის „სლოვანში“ მოგვარდნენ.

**ვლადიმერ ბოიშა** — 18 წლის, ეკუთვნის ლიუბლიანის „ოლიმპიას“, თამაშობს „სლოვანში“

**ნიკა ცქიტიშვილი** — 16 წლის, ეკუთვნის და თამაშობს „სლოვანში“

**დავით უბრაძე** — 16 წლის, ეკუთვნის „სლოვანს“, თამაშობს ქალაქ კრანის „ტრიგლავში“


**ირაკლი კვიციანი** — 16 წლის, ეკუთვნის „სლოვანს“, თამაშობს მის ახალგაზრდულ გუნდში.

სლოვენია-საქართველოს საფეხბურთო მატჩზე მივლინებულს რა გული გამოიძებნა, ქართველი კალათბურთელები არ მენახა. 3 სექტემბერს, დილით, მათ „სლოვანის“ საკალათბურთო დარბაზში შევხვდი და ის დღე, პრაქტიკულად ძალიანად, ერთად გავატარეთ. ახლა კი იმას მოვიტოვებ, თუ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ ქართველი კალათბურთელები.

### ბარჯიში

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ბიჭები სხვადასხვა კლუბებს ეკუთვნიან და სხვადასხვა გუნდებში თამაშობენ, ვარჯიშით უმეტესად ერთად, „სლოვანის“ შემადგენლობაში ვარჯიშობენ. გამონაკლისი მხოლოდ დავით უბრაძეა, რომელიც კვირაში სამჯერ კრანში მიდის და იქაურ გუნდთან ვარჯიშობს. იმ დღესაც დათომ დილით „სლოვანში“ ვარჯიშობ, სადილის მერე კი მიხვებ „ტრიგლავში“ განათხოვრებული თანაგუნდელის მანქანით კრანში გაემგზავრა და ლიუბლიანაში გვიან საღამოს დაბრუნდა.

ყველაზე მეტად ვარჯიშზე ორი სახელი იხმის: „ცქიტა“ და „ბოიშა“ (მახვილი, „-ზე“, გვეგონება, „სლოვანის“ მწვრთნელი ტომო მაპორიჩი ამით მეტს ვერავის ცნობს). მიზეზი მარტივია: ცქიტაშვილი და ბოიშა „სლოვანის“ სასტარტო ხუთეულში უნდა დადგნენ, კომბინაციები მათზე ეწყობა და, ბუნებრივია, ყველაზე მეტი მათ მოეთხოვებათ. მწვრთნელს სხვადასხვანაირად უწევს



ქართულმა ლეგიონმა თავი მოიყარა (მარცხნიდან): დავით უბრაძე, ვლადიმერ ბოიშა, ირაკლი კვიციანი და ნიკა ცქიტაშვილი

ქართველებთან ურთიერთობა: ბოიშა ინგლისურადაც ლაპარაკობს და სლოვენურადაც; ცქიტაშვილი და კვიციანი ინგლისურად ლაპარაკობენ, სლოვენური — ესმით; უბრაძე კი ენების მხრივ ვერაფერობით უჭირს, მაგრამ მაპორიჩი ამბობს: ნეტა ყველა მოთამაშე ასეთი მყავდეს, ერთხელ რამეს რომ ვაჩვენებ, საკმარისია, „უგრე“ ყველაფერს პირველი შეხედვისთანავე ითვისებს.

„სლოვანის“ ვარჯიშებზე მხოლოდ მწვრთნელის, ბურთის ტყაუნის და სპორტული ფეხსაცმლის ზრატუნის ხმა ისმის. სანამ მწვრთნელი ნებას არ დართავს, გვერდზეც კი არავინ იხედება. ტრავმირებული მოთამაშეებიც დარბაზში იყვნენ. ისინი, ტრავმის ხარისხის და ხასიათის მიხედვით, სხვადასხვა სახის ვარჯიშებს ასრულებენ. ოღონდ, აუცილებლად მთავარი მწვრთნელის მითითებით და მისი რომელიმე თანამშემოების მეთვალყურეობით. სხვათა შორის, მოთამაშეს რამე რომ არ გამოხდის, მაპორიჩი არც იფინება და არც ცოფებს ყრის. უბრალოდ, მოთამაშეს კიდევ ერთხელ უხსნის, „სლოვანის“ ორ ვარჯიშს დავესწარი და ყველაზე მკაცრად, რაც მწვრთნელმა მოთამაშეს აკადრა, ამგვარი ფრაზა იყო: „თუკი ვერ იმასხვრებ, ფურცელზე ათჯერ დაწერე, იქნებ ამან გიშველოს.“ ინტერვიუს ტომო მაპორიჩთან ერთ-ერთ უახლოეს „სარბელში“ შემოვთავაზებთ.

„სლოვანის“ ვარჯიში, როგორც დილით, ისე საღამოს, ორ საათს გრძელდება. ასე ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა. შაბათს სლოვენის ჩემპიონატის ტურია, ხოლო კვირას გუნდი ისვენებს. ქართველ კალათბურთელებს დღეში ორ-ორსაათიან ვარჯიშებს არ აჯერებენ: დილის ვარჯიშის შემდეგ ცქიტაშვილი, უბრაძე და კვიციანი ძალიან სიძინებელი დარბაზში მიდიან და ნახევარ საათს სიმძიმეებს ეკვიდებიან.

კეთილი, ვარჯიშის მოვრჩით. სპორტსმენებს, თანაც ამ გაბარიტებისას, აუცილებლად სჭირდებათ გაძლიერებული

### კმემაბ

ეს საკითხი ჩვენს ბიჭებს ასე მოუგვარებათ. ბოიშა „ოლიმპიას“ კუთვნილი კალათბურთელია, ამიტომაც მასზე ეს გუნდი ზრუნავს. ყოველ ვარჯიშის მერე ვივა მიდის ლიუბლიანის ერთ-ერთ რესტორანში, რომელთანაც „ოლიმპიას“ კონტრაქტი აქვს. ამ კონტრაქტის თანხმად, „ოლიმპიას“ კალათბურთელები აქ სადილ-ვანშ-

ობენ, ხარჯებს კლუბი იხდის, ოღონდ რესტორანი მას მნიშვნელოვან ფასდაკლებას უკეთებს. საკვების რაოდენობა განსაზღვრული არ არის, რამდენიც გინდა, რანაირიც გინდა... ისე, „ოლიმპიას“ ამ სტრატეგიის ავტორის სადილის ხარჯებიც გაიღო, რომელსაც ძალიან უყვირს, რატომ არ სუქდება ბოიშა. ხუმრობა იქით იყოს და, რესტორანში ბოიშასთან ერთად მისულს, უამრავი სახე მეცნო. დიდი ფიქრის გარეშე მივხვდი, რომ ესენი „ოლიმპიას“ მოთამაშეები იყვნენ, რომლებიც ადრე ტელევიზორში და ფოტოებზე მეხანხა. დრო არ მქონდა, თორემ დადექი და აკეთე ინტერვიუები, ბოიშას და სტეფანიანს სათრით რომელიმე უარს გეტყვი თუ რა...

„სლოვანს“ კი „ოლიმპიას“ რესტორნიდან დაახლოებით ას მეტრში მდებარე რესტორანთან დაუდია კონტრაქტი. ისინი ცქიტაშვილზე, უბრაძეზე და კვიციანზე ზრუნავენ. იქაური საშარეულოს შესახებ ვერაფერს ვეუბნები, ოღონდ, თუკი ბიჭების სიტყვებს ვირწმუნებთ, იქაური კერძები სახლისას არ ჩამოუვარდება.

ბიჭებს შინ მხოლოდ, საუბზე უწევთ, ისიც, პირობითად. ბოიშამ, დილით ხილისა და წვენიც მეტს არაფერს ვიკარავს, ხოლო დანარჩენების სახლის გვერდით 24 საათი მომუშავე სუპერმარკეტია. მაგალითად ღმერთს, ლიუბლიანაში შვა პროდუქტების დეფიციტი არ არის.

### სახლი

ბოიშა მარტო ცხოვრობს, ოღონდ შინ მხოლოდ დასასვენებლად და დასაძინებლად მიდის. მისთვის „ოლიმპია“ ქირაობს ბინას მრავალსართიან სახლში, ლიუბლიანის უბან შიშაში. შიშა დაახლოებით იმ მანძილზეა ქალაქის ცენტრიდან, როგორც რუსთაველიდან — დიდუბე.

კიდევ კარგი, ცქიტაშვილი, უბრაძე და კვიციანი ტანად დიდები არიან, თორემ მათ სახლში დაკარგვა თავისუფლად შეიძლება. „სლოვანმა“ ბიჭებს საშარეულიანი სახლი უქირავა, სადაც კალათბურთელების გარდა არავინ ცხოვრობს. ბოიშას სახლთან შედარებით, ეს საყოფიერი ცენტრიდან შედარებით შორსაა, თუმცა, ლიუბლიანა პატარა ქალაქია და იქაური მასშტაბები მეტად პირობითია.

იმის გათვალისწინებით, რომ სახლში მხოლოდ მამაკაცები ცხოვრობენ, ოთახები საკმაოდ დალაგებული და მოვლილია. სანამ დავოჯახდებოდი, ჩემი ერთი ოთახი გაცილებით ანგრეულ-

დანგრეული იყო ხოლმე. პირველი სართულის დიდი ნაწილი საშარეულოს უკავია. ეს, ალბათ, ის ტერიტორიაა, სადაც ბავშვები ყველაზე ხანგრძლივად მოძრაობენ. თუკიდან, სანამ კალათბურთელები საფუძვლიანად დაზინდებოდნენ, მათ წიკა ცქიტაშვილის დედა ქალაქიდან გულაქო უვლიდა. აი, ქართველი დიასახლისისთვის კი იმ სახლის საშარეულო ნაშვლიად მისწრება.

სახლს ეზოც აქვს და მანქანის დასაყენებელი ადგილიც, მაგრამ იგი უქმად ცდება, რადგან ამ სახლის პატრონებს

### მანქანა

არ ჰყავთ. ასეთსავე დღეშია ვლადიმერ ბოიშაც. ვლადიმერი უკვე სრულწლოვანია და შეუძლია მანქანა მართოს. თუკი ამას ვერ ახერხებს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი დაუდევრობის გამო. „საქართველოში რომ ჩამოვედი, მართვის მოწიბობა უნდა ამელო, მაგრამ მერე და მერე ეს ამბავი სულ გადამავიწყდა და მხოლოდ ლიუბლიანაში ჩამოსულს გამასხენდა. ერთმხრივ, ასე მირჩევნია. მანქანა რომ მყავდეს, ვარჯიშების მერე სადმე აუცილებლად გავივლიდი, ახლა კი პირდაპირ სახლში მივდივარ“ — თქვა ვლადიმერმა.

ბოიშას უბანში მისი რამდენიმე მანქანანი თანაგუნდელი ცხოვრობს, რომლებიც ქართველ კალათბურთელს მზავრობას არ ამაღლიან. მარტო, როცა ლიუბლიანიდან 50 კილომეტრით დაშორებულ პოსტოინაში თამაშობდა, ვივას ეს პრობლემა მაშინაც არ აწუხებდა — მანქანანი თანაგუნდელი ეხმარებოდა. ახლა, თუკი ბოიშა მარტო რჩება, ავტობუსით სარგებლობს. ხანდახან ტაქსითაც, რომელიც ლიუბლიანაში წარმოუდგენლად იაფია.

ცქიტაშვილის, უბრაძეების და კვიციანს მისართლებით არც ერთი სლოვენელი არ ცხოვრობს, ამიტომ მათ შედარებით უჭირთ მოძრაობა. თანაც, „სლოვანის“ დარბაზიდან მათ სახლამდე ერთი ავტობუსი მაინც უნდა გამოიყვანოს. ცოტა მოითმინონ, ერთ წელიწადში სრულწლოვანები გახდებიან და, იმედი, ბოიშასათვის არ დაავიწყდებათ მართვის მოწიბობის აღება.

რაც შეეხება უბრაძეების კრანში მზავრობას, ეს ქალაქი ლიუბლიანიდან 20 კილომეტრშია. „ტრიგლავში“ „სლოვანიდან“ განათხოვრებული კიდევ ერთი კალათბურთელი თამაშობს, რომელსაც მანქანა ჰყავს. პოლა, დათოს ეს საკითხი აღარ ალღევს.


### რამიში

ძალიანაც რომ მოინდომონ, ბიჭებს კალათბურთის გარდა სხვა რამეზე ფიქრის დრო არ დარჩება. თავად განსაკუთრებული, თერთმეტის სახეგარე პირველი ვარჯიში. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაზე გვიან, რვა საათზე ფეხზე უნდა იყოს. მერე ორი საათი ვარჯიში და სადილი. ამასობაში სამი საათიც გახდა. შეიძინს ნახევარზე მეორე ვარჯიშია, მაქსიმუმ სახლში მისვლა, ნახევარი საათი საათი მოსვენება მოასწრო და მერე ისევ დარბაზში. ვანშიში შემდეგ შინ 10-11 საათზე მიდიან. როგორ გვინათა, ამგვარი დღის შემდეგ, კიდევ რამის გაკეთების სურვილი გექნება?

ის კი არა, „სლოვანის“ უფროსობამ გადაწყვიტა, ბიჭებს (ბოიშას გარდა) სლოვენური მასწავლებელი დაუქირავოს. რა ვქნათ, დღე-ღამეში მხოლოდ 24 საათია და მეცადინეობა როდისა უნდა მოვასწოროთ, ამბობენ ჩვენებურები და იმედივნებენ, სლოვენურს ჩვენით ვისწავლით, სამაგიეროდ, მეცადინეობისთვის გამოყოფილ დროს დასვენებას მოვანხარი, ინტენსიური ვარჯიშები ძალიან გვკლავს.

აი, ასე ცხოვრობს და მუშაობს ქართული ლეგიონი ლიუბლიანაში. „სლოვანის“ ხელმძღვანელობას და მწვრთნელებთან საუბრისას, კლუბის ოფისის და დარბაზის დათვალიერებისას შემქმნა აზრი, რომ ქართველი კალათბურთელები საიმედო ხელში არიან, ნიჭი მათ არ აკლიათ, შრომისმოყვარეობას ყველა უქმებს, კარგი თამაშის შემთხვევაში სლოვენებიდან სად შეიძლება მოხვედრა, ამის მაგალითიც თვალწინ აქვთ თავის დროზე ვლადიმერ სტეფანიანს „სლოვანში“ თამაშობდა...


**მირაბ რატიშვილი**  
ლიუბლიანა-თბილისი  
ავტორის ფოტოები



ვლადიმერ ბოიშა ვარჯიშის შემდეგ



ირაკლი კვიციანი (მარცხნივ) და ნიკა ცქიტაშვილი სასტუმრო ოთახში



დავით უბრაძე ფიზიკურად ძლიერდება





# ტიტა «ტიტრაბში» არ იქნება

...ეპ, ტიტე ვერ ითამაშებს, „დანი-ელეტან ტიტე არ გვეყოლება“, „ტიტეს რომ ეთამაშა...“ — გამუდმებით ჩივის ამ დღეებში საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა დოლიძე. ალბათ, მიხედვით, ვისზეა ლაპარაკი — ტიტე კალანდაძეზე, რომელმაც აპენდიციტის ოპერაცია გაიკეთა და დანიელტან ვეროჩემპიონატის საპლეიოფო მატჩებში ნაკრებს დააკლდება. ყოველ შემთხვევაში, შაბათს, პირველ თამაშში ნამდვილად მწვრთნელის სინანული გასაგებია — ტიტე ხომ ნაკრების უცვლელი წევრია და მის წარმატებაში დიდი წვლილიც მიუძღვის. ნაკლებ დღეში არც სპორტსმენია — მისი ადგილი ხომ მოედანზეა. ის კი, თამაშს მოწყურებული, ტრიბუნაზე ზის და გადატანად ოპერაციასა და ახალ იტალიურ კლუბზე გვესაუბრება.



ტიტე კალანდაძე

## — ახალ კლუბზე რას გვეტყვი, როგორი გუნდია?

— ტრიესტის კლუბი „გენერალი“ იტალიის ყველაზე ტიტულიანი გუნდია, რომელსაც ყველაზე მეტჯერ მოუგია ქვეყნის პირველობა და ევროთასბუცე მოუწვია თამბაქოსწარმოებელი შედეგებისთვის. კლუბში იტალიის ნაკრების რამდენიმე წევრი თამაშობს, რომლებსაც წლებია მე და რუმინეთის ნაკრების ერთი წევრიც დავემატეთ.

## — შარშანდელ სეზონში რომელ ადგილზე გახვედით?

— შარშან მთელი სეზონის განმავლობაში ვლიდებოდით, მაგრამ ბოლოს პრატოს კლუბი წამოგვეწია და ჩემპიონატი თანაბარი ქულებით დავაწრულეთ, პლეი ოფში კი წავაგეთ. წლებსაც ჩემპიონობისთვის ვიბრძობებო.

## — კონტრაქტი გააფორმეთ?

— დიახ. როცა ჩველი, არც კი შე-

მა მოწმეს, უკვე მიცნობდნენ და პირდაპირ კონტრაქტზე მომწერინეს ხელი. მეც ერთწლიანი ხელშეკრულება დავდე. უფრო ხანგრძლივი კონტრაქტები ხომ არასოდეს გამიფორმებია.

— ეტყობა, კარგი პირობები შე მოგთავაზეს, რადგან არ გიყოფიანიათ.

— ბინა და მანქანა მოლაპარაკებისას თავისთავად იგულისხმებოდა, ამაზე ზედმეტი საუბარი არ ყოფილა. რაც შეეხება ხელფასს, იტალიური ფეხბურთელებისა და კალაბრიული გუნდების ვერ შედრება, მაგრამ აქაურის კვალობაზე ზღაპრულია. ოპერაციის ხარჯებიც მთლიანად კლუბმა გაიღო. მე ეს არც მიკითხავს და არც ამის თაობაზე მოსულა ჩემთან ვინმე.

## — გუნდთან შეგუება ხომ არ გაგიჭირდა?

— ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ მქონია. ძალიან კარგი, მეგობრული გუნდია. თანაგუნდელებთანაც ნორმალური ურთიერთობა დავამყარე. იტალიაში ახლა შესვენებაა, გუნდმა კი 1 აგვისტოდან განაახლა ვარჯიში. სამწუხაროდ, მასთან მხოლოდ ათი დღე ვივარჯიშე, მერე კი ოპერაცია გავიკეთე. იმ ათ დღეში ერთი ამხანაგური მატჩის გამართვა მოეწონა, ძირითად შემადგენლობაში ვითამაშე. თანაგუნდელებს მოედანზეც გაუგებ ყველაფერს ვაკეთებ, რაც შემიძლია. ეს კი ძალიან დამეხმარა ახალ პარტნიორებთან შეთანხმებაში.

## — უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი რატომ არ გააფორმეთ, უკეთეს წინადადებას ელით?

— დიახ, წინადადებაც არის. ვნახოთ, დავფიქრებ...

## — ზემოთ პრატო ახსენეთ. ამ ქალაქის წყალობით თუ გუნდში ნიკა ასათიანი თამაშობს. მასთან თუ გაქვთ ურთიერთობა?

— ეგ ამბავი პირველად მესმის, აქამდე არც კი ვიცოდი. როცა იტალიაში ჩავალ, აუცილებლად მოვხვები.

მამა ოქალაქილი


# რეჟირენდუმი

## საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

### სამი პირობა ლაურეატს

1. დავვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე ხასიათიანი და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.
2. ქართული სპორტი კრიზისშია. თუ შედავთ გამოსავალს?
3. ვინ მიგანიათ საქართველოში სპორტის განვითარების ხელშეწყობის სპორტსმენად?

**ჯემალ ცერცვაძე**  
**ხელბურთი**  
 დაიბადა 1939 წლის 7 მაისს. სპორტის დამახარებელი ოსტატი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, ოთხჯერ ვიცე-ჩემპიონი, ორჯერ ბრინჯაოსმედალოსანი, ოთხი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, სამჯერ დაასახელეს მსოფლიოს სიმბოლურ ნაერებში, მსოფლიოს ახალგაზრდობის ფესტივალის ჩემპიონი, 30-მდე საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული




1. გასახსენებელის მეტი რა მაქვს — კარგი და ცუდი იმდენია... ყველაზე სასიამოვნოდ მაგონდება 1962 წლის გამარჯვება კაუნასში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. მაშინ პირველად გავხდით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. 60-იან წლებში ჩვენი „ქარიშხალი“ მართლაც უძლიერესი გუნდი იყო. საერთაშორისო სარბიელზეც არ მოგვეკლებია გამარჯვებები როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო დონეზე. მაშინდელი თამაშების თითქმის 75-80% მოვიგეთ. უცხოეთში უამრავ ტურნირში გამოვდიოდით და მეორე ადგილს თითქმის არასოდეს ჩამოვცილებდით. სწორედ იმ პერიოდში — 1965 წელს მოვუგეთ მაშინდელ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ რუმინელებს აქ, თბილისის სპორტის სასახლეში. ესაც დაუვიწყარი გამარჯვებაა, მაგრამ პირველი მაინც გამორჩეულია. ამიტომ ყველაზე კეთილმოსურნელი მაინც საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონობაა.

ყველაზე ცუდად კი იუგოსლავიურ „მედეშაკთან“ შეხვედრა დამამახსოვრდა. ეს იყო 1965 წლის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედღიანი პირველი თამაში ბელგრადში რვა ბურთით წავაგეთ. აქ მატჩის დამთავრებამდე 12 წამით ადრე ცხრა ბურთით ვიგებდით, მაგრამ ერთი ჩამოყვანილი რუსი გვყავდა, რომელმაც ბურთი დაკარგა და მეტოქემ გოლი გაგვიტანა. შეხვედრა რვა ბურთით მოვიგეთ, საერთო ანგარიშშიც გათანაბრდა და გამარჯვებული კენჭისყრით გაირკვა. აქ კი ბედმა მეტოქეს გაუღიმა. არადა, ნახევარფინალში დანიურ კლუბთან გვიწვევდა შეხვედრა, რომელიც მანამდე 14 ბურთით ვძლიეთ. დასაწყისში იყო 1967 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში დანიელებთან წაგებაც, როცა პირველ ტაიმს 7:2 ვიგებდით, მაგრამ 7:8 დაეთმო.

2. თუ გვინდა პროფესიონალები გავხდეთ, საამისოდ ყველა მოთხოვნა უნდა დავაკმაყოფილოთ. დღეს არც ერთი ბაზა ბაზას არა ჰგავს, მწვრთნელთა კვალიფიკაცია მეტად დაბალია, მოთამაშეებისა და იმავე მწვრთნელთა ეკონომიკურ პირობებზე ხომ საუბარიც არ ღირს. კრიზისიც ამან განაპირობა, თორემ ნიჭიერი სპორტსმენი საქართველოში იმდენია... მასობრივი სპორტი ხომ აღარც არსებობს.

3. ოთარ ქორქია, მიხეილ მესხი, ვივი კარტოზია; ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, ნადეჟდა ხნიკინა-დვალისვილი



# კაცი მთისა და სიბღარიისა

ჯოკია ბუბაშას, ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულ ხელოვანსა და მთაშველელს, თავიდან განუმეორებელი მიხეილ ხერგანიანის მონათრობით ვიცნობდი. 1964 წელს მიხეილის წინამძღოლობით მთის სწორუბოვარმა რაინდებმა — ჯოკია გუგავამ, მიშა ხერგანიანმა (უმცროსმა), ჯუმბერ კახიანმა და ვივი წერედანიანმა უშბის დაპყრობა გადაწყვიტეს 400-მეტრიანი უკუდახრილი კედლის გადალახვით და მოხდა ისე, რომ განსაკუთრებული ჩაჯარდნილი გუგავი მიხეილის გაუკაცობასთან ერთად ჯოკიას, როგორც მომღერლის ადლომაც გადაარჩინა.

მიშამ გაიანგარიშა: ამ მდგომარეობის შენარჩუნებას მხოლოდ ხუთიოდ წუთს თუ შევძლებ, მოგწყვდები კლდეს და თან ჩავიტან თოქვე დაზარებულ მეგობრებსო. მან გასცა ბრძანება, შეეხსნათ თოქები, თან „ლილეს“ სიმღერა წამოიწყო (მიშას ხშირად უთქვამს ჩემთვის: როდესაც მთაში გაუსადილის მდგომარეობაში ვარდებოდა, სიმღერით იკრებდა უკანასკნელ სულიერ და ფიზიკურ ძალას). ამ მიშასეული ჩვეულების შესახებ ყველაზე კარგად იცოდა მისმა უახლოესმა მეგობარმა, მესტიის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელმა და სოლისტმა ჯოკია გუგავამ. მან მეგობრებს აუხსნა მიშას ამ ჩვეულების შესახებ და ოთხივემ ერთხმად ასძახა წინამძღოლოს:

— ჩვენ არ შევიხსნით ქამრებს! თუ დაღუპვას — ერთად, მხოლოდ ერთად!

მიშამ გაიმეორა ბრძანება და როცა კვლავ მეგობრების მტკიცე უარი მოეხსა, სასოწარკვეთილმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და კედლის მცირე შე-

რილის დახმარებით შეძლო უხიფათო ადგილზე ასვლა, კლდეში პალის ჩამაგრება და ჯგუფის გადარჩენა...

... დიდ სპორტსმენსა და ხელოვანს, ბატონ ჯოკია გუგავას მისი კარგი საქმეებით ვიცნობდი; მან ხომ ცოცხალი მეგობრებით დატოვა საკუთარი ინიციატივით აშენებული, საქვეყნოდ ცნობილი „ილიამას“ და „ხეხოსის“ ალბური ბანაკები.

ენანობ, რომ ცხოვრებამ უფრო ახლოს არ დამაკავშირა ამ დიდებულ პიროვნებასთან, მაგრამ ბედმა მაინც გამიღიმა: დღეს მისი ვაჟიშვილი, ასევე სახელოვანი კაცისა და მოღვაწის ბერდიას მეგობარი მქვია. სწორედ ამ მეგობრობამ დაბადა ჩვენი ერთობლივი წიგნი ტანვარჯიშულ საზოგადოება „შეგარდენე“.

**ამთანდელ ციხაძე**  
 პროფესორი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური აკადემიის რექტორი

# დაასახელეთ თქვენი რჩეული

ქართული სპორტის ისტორიას მრავალი გამოჩენილი სპორტსმენის სახელი ამშვენებს, მაგრამ ვინ იყო საუკეთესო საუკეთესოთა შორის, ვინ არის გულშემატკივრის რჩეული?

ამ კითხვაზე პასუხს გავცემს სპორტის მოყვარულთა სატელეფონო გამოკითხვა, რომელსაც **საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია** აწყობს კომპანია „მეგაფორმთან“ ერთად.

**ჩვენი ტელეფონები:** 99-94-09, 97-36-60, 97-36-61, 97-36-62.

დარეკეთ სამუშაო დღეებში, 11-დან 15 საათამდე.  
**დარეკეთ და დაასახელეთ თქვენი რჩეული!**  
 გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდება 19 ოქტომბერს, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

ამონაწერი რეფერენდუმის დებულებიდან: „სავანებო ნომინაციაში ლაურეატი (ერთი სპორტსმენი) ვლინდება სპორტის გულშემატკივართა გამოკითხვით. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. ლაურეატს ენიჭება ტიტული — „გულშემატკივრის რჩეული“.

სარეფერენდუმი კომიტეტი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

**მეგაკომი**


# ორი პლანეტა და ერთი ვესტი



გერმანელმა მარსელ ვუსტმა (ფესტინა) „ვესტილას“ ზედიზედ მესამე ეტაპი მოიგო და ლიდერის პოზიცია კიდევ უფრო განიმტკიცა. სპრინტების დიდოსტატი ოქროსფერ მაისურას პირველი მთიანი ეტაპის მერვე კი დაკარგავს, მაგრამ მანამდე ხომ ხარობს.

ლას როზასა და სალამანკას შორის მდებარე 185,6 კილომეტრის გავლის შემდეგ მრბოლებმა ჯგუფური სპრინტი გამართეს, რომელშიც 32 წლის ვუსტმა ჯოვანი ლომბარდისა და სერგეი ივანოვის იოლად აჯობა. გერმანელი ფიზიკურად ძლიერი კია, მაგრამ თან ემშობა არ აკლია. იგი „ტელეკომის“ წევრებს, რომლებიც ლომბარდის გამოქანებს ცდილობდნენ, ჩუმად მიეპარა და სტარტი იტალიელზე ადრე აიღო. „ფოველთვის უძლიერესი იმარჯვებს, ამ ტურნირზე კი მე ვარ უძლიერესი სპრინტერი. „ტელეკომის“ მუშაობაც კარგად გამოვიყენე“ — თქვა ვუსტმა, რომელიც პეპელათა შორის უძლიერესის იტალიელი მარო ჩიპოლინის არყოფნას მშვენივრად იყენებს.

დღის მთავარ შეტევაში ათი მრბოლი მონაწილეობდა. „პელოტონში“ უქმად ყოფნისას მოწყვნილი ვარ, ამიტომაც ჩავერთე მთიერიშებში“ — თქვა ფრანგმა ლორან ჟალაბერმა (ონსე), რომლისთვისაც ეს პირველი ტურნირია დანარჩენებს.



ლორან დიუფო სალამანკაში „საეკოს“ მანქანით შევიდა



★ — დღევანდელი ეტაპის სტარტი

ტრამის შემდეგ იგი თავისი ჩვეული ფორმიდან ძალიან შორსაა, რადგან წინა ეტაპზე, მაგალითად, გამარჯვებულთან 40 წამი წაავო. ათეული რბოლის სათავეში დახლოებით 35 კილომეტრის მანძილზე დარჩა, ხოლო მათი მაქსიმალური უპირატესობა წუთს არ გადასცილებია.

როცა მათ პელოტონი მიუახლოვდა, იტალიელმა ადრეა ტაფი (მაკეი) ცადა, სალამანკას ქუჩებში მარტო შესულიყო და კინაღამ გამოუვიდა კიდევ-ღელღელის საბოლოო სპრინტის წამოწყებამდე ოდნავ ადრე წამოვიწინებ დანარჩენებს.

ავილასთან ახლოს შეჯიბრს ერთ-ერთი ფაქტორი, შევიცარიელი ლორან დიუფო გამოეთხოვა. „საეკოს“ ლიდერი ორმბათს წაიქცა, მაგრამ ფეხის ტკიველს ყურადღება არ მიაქცია, გუშინ კი ეს ტკიველი გაუსაძლისი გახდა.

დღის მთავარ უიღბლო ბელგეელი ჯო პლანკერტი (ლოტო) იყო. ფინიშამდე თხუთმეტითადე კილომეტრით ადრე იგი წაიქცა და ბეერი დროც დაკარგა. ეტაპი კი დიდი ჩამორჩენით დაამთავრა. ბედის ირონიაა, რომ ბოლო მრბოლი ვუსტამდე, ვინც „ვესტილასზე“

ზედიზედ სამი ეტაპი მოიგო, ჯოს ასლო ნათესავი ედი პლანკერტი ყოფილა.

დღეს პირველი მთიანი ეტაპია. მრბოლებს პირველი კატეგორიის სინფლის ულელტეხილი „პორტილი“ (1240 მ) ულით ბენარინდან სიუდად როდრიგომდე მიმავალ 160 კილომეტრიან გზაზე.

## გაიოზ თალაგამაძე

მეოთხე ეტაპი, ლას როზასი — სალამანკა, 185,6 კმ

1. მარსელ ვუსტი (გერმანია, ფესტინა) — 4 სთ 21 წთ 42 წმ
2. ჯოვანი ლომბარდი (იტალია, ტელეკომი)
3. სერგეი ივანოვი (რუსეთი, ტფმ)
4. სტეფანო ძანინი (იტალია, მაპეი)
5. მიგელ ანხელ პერდიგერო (ესპანეთი, ონსე) — ვველას იგივე დრო

## საბრტო ჩათვლა

1. მარსელ ვუსტი — 19 სთ 55 წთ 09 წმ
2. რობი მაკივენი (ავსტრალია, რაბობა ნეი) — +29 წმ
3. რობერტ შანტერი (სამხრეთ აფრიკა, ლამბრე) — +34
4. იგორ გონსალეს გალდენო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +39
5. აბრაამ ლოანო (ესპანეთი, ონსე) — +40



ჰიშამ გურუჯი

# გაგოსხადებული რეკორდის ქრონიკა

გერმანელმა დედაქალაქ ბერლინში „ოქროს ლიგის“ ბოლო, მეშვიდე ტურნირი ჩატარდა სამშაბათ საღამოს. ამ შეჯიბრმა საბოლოოდ გადაწყვიტა მილიონი დოლარის ბედი. ეს სპრინტი ფონდი დაწესებულია იმ მძლეოსნებისთვის, რომლებიც „ოქროს ლიგის“ ეგიდით გამართულ შედეგზე ტურნირზე იპირველებენ ერთი და იმავე დისტანციისაში. ბერლინამდე ასეთი სამი სპორტსმენი იყო — რუმინელი გაბრიელა საბო (5000 მ), დანიელი უილსონ კიპკეტერი (8000 მ) და კენიელი ბერნარდ ბარმასი (3000 მ წინაღობებით). თუმცა მილიონიდან წილის რგების შანსი მხოლოდ პირველ ორს ჰქონდა, რადგან ბარმასი იაფ-მა დასაჯა, ციურინში მოგება თანამემამულე კოსკეიმ დაგითმო (რაც თვითონ ბარმასიმ თქვა) და ამიტომ ჯგუჰოტიდან ცენტსაც ვერ ეღირსებო. ბერლინში კენიელი მაროკოელი ალი ეზინის შემდეგ მეორე ადგილს დასჯარდა, ასე რომ, იაფ-ის გადაწყვეტილებამ გული დიდად არც უნდა დაწყვიტოს.

ერთი სიტყვით მილიონს საბო და კიპკეტერი ეპოტინებოდნენ, მაგრამ ვერც ერთი შეწვდა. უფრო სწორად, კი შეწვდნენ, მაგრამ მხოლოდ ნახევარ-ნახევარ მილიონს, რადგან რუმინელმაც მოიგო თავისი გარბენი და დანიელმაც და შეესაბამისად მილიონი ამერიკული დოლარიც ორზე გატყდა. გაბრიელა საბო კი წლის საუკეთესო შედეგზე აჩვენა (14 წთ და 40,59 წმ) და ისევე როგორც სევილიაში, მაროკოელი ზაპრა უაზიზი მეორე ადგილს დააჯერა.

სხვა შედეგებიდან დიდი და აღსანიშნავი ბეერი არაფერია, გარდა ერთისა, რომელზეც საკმაოდ ვრცელი საუბარია უპირინი. მაროკოელმა ჰიშამ ელ გურუჯიმ 2000 მეტრზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბრიუსელის ტურნირზე ელ გურუჯიმ პირველად ირბინა 3000 მეტრი და ყველა დროის მეორე შედეგი აჩვენა. ბერლინში ის უფრო მოკლე დისტანციაზე გვეგამედა გამოსვლას და წინასწარაც გამოაცხადა, 2000 მეტრზე მსოფლიო რეკორდს დაამყარებო, თქმა და ქნაც ერთი იყო. ჰიშამ ელ გურუჯიმ მართლაც დიდებულად ირბინა და მძლეოსნური სეზონი უმშვენიერესად დასრულა.

განსაკუთრებით ბოლო 600 მეტრზე გამოავლინა მთელი თავისი ოსტატობა და სიძლიერე ელ გურუჯიმ. მისი ტემპის მიყოლა ვეღარავინ შეძლო და იგი მარტო დარჩა. ჰიშამმა 200 მეტრი გაიბრინა და თითქოს აღრინდული რეკორდი ხელშეუხებელი დარჩებოდა. რატომ? ბოლო წრისთვის მას 54 წამიდან რჩებოდა. ეს თვის მაროკოელმაც კარგად იცოდა, რადგან ტაბლოს თვალის შეავლო და სიჩქარესაც უმატა. მწელი სათქმელია ამდენი ძალები საიდან ჰქონდა მას შემორჩენილი, ყოველ შემთხვევაში ბოლო წრე მან ფანტასტიკურ დროში, დაახლოებით 51 წამში გაიბრინა (საშუალოდ ერთ წრეს 56,96 წამი მონადობა) და ალჟირელი ნურედინ მორსელის ერთი ბოლო რეკორდიც (4 წთ და 47,88 წმ) დაამხო.

24 წლის მაროკოელი, რომელმაც სევილიის მსოფლიო ჩემპიონატზე 1500 მეტრზე ოქროს მედალი მოიპოვა, ახლა მსოფლიოში ერთადერთი მძლეოსანია, სამ მსოფლიო რეკორდს რომ ფლობს — 2000 და 1500 მეტრზე და ერთ მილზე. არადა, ცოტა ხნის წინ ამ საძივე დისტანციაზე რეკორდსმენი ნურედინ მორსელი იყო. დაბოლოს, ჰიშამ ელ გურუჯი მართლაც ერთ-ერთი უძლიერესი მძლეოსანია და, ალბათ, მომავალშიც არაერთ რეკორდს დაამყარებს.

## გაიოზ თალაგამაძე

# დაბაბა, ბნაელა...

ავსტრალიელი ველომრბოლი სტიუარტ ოგრედი უკვე კარგა ხანია ევროპაშია გადმობარებული და ფრანგულ ტულუზში ცხოვრობს. ასე მას გაცილებით უადვილდება ევროპაში გამართულ ტურნირებში მონაწილეობა და კარგი შემოსავლების მიღება. აქამდე ტულუზელები ახალ თანაქალაქელს არაფერს უშვებდნენ, კვირა დამეს კი იგი და მისი გელფერენდი შუა ქალაქში, სტრასბურის ბულვარზე „ცულმა ბიჭებმა“ დააყარდეს. ინციდენტის დროს წვეილს მათი ახლო მეგობარი და ორი პროფესიონალი მრბოლი, რობერტ მილარი და ჰენკ

ვოგელისი ახლდა. ამ პატარა ჯგუფს დაახლოებით ლამის სამ საათზე თავს სამი ხულოიანი დაეხსნა და ფულისა და ძვირფასეულობის წართმევა მოუნდომა. გაწვევა-გამოწვევაში ოგრედის მეგობარი გოგო მსუბუქად დაიჭრა ხელში, თვით ავსტრალიელ მრბოლს კი ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა გულმკერდიდან ოქროს ჯაჭვი ჩამოწყვიტა და მიიძალა. სამი თავდასხმელიდან ერთი იმ დამსვევ დააკავეს, დანარჩენ ორს კი ექებენ. ასე რომ, ღამით სიარული მხოლოდ თბილისის ქუჩებში როდია სახიფათო.

# მთის მეფე თაზი მორიკლა

ყოვილმა ველომრბოლმა ტიერი კლავიროლამ ორმოცი წლისამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. საბედისწერო გადაწყვეტილება მან საკუთარ სახლში, სამხრეთ საფრანგეთში, გრენობლის მახლობლად დაასრულა. ფრანგული ჟანდარმერიის ოფიციალური ვერსიით, მან რევოლვერის ტყვია დაიხალა შუბლში.

1990 წლის „ტურ დე ფრანსზე“ კლავიროლამ „მთის მეფის“ ტიტული მოიპოვა, რბოლებს კი თავი 1994 წელს მიაწვია, 35 წლისამ. ორი შვილის მამა გრენობლიდან ოციოდ კილომეტრით დაშორებულ დაბა ვიზილში აბუშავებდა პატარა ბარს, რომელსაც „ეტაპი“ ჰქვია და იქიდან მიღებული შემოსავლით არჩენდა ოჯახს.

იდეალური გაბარიტების (171 სმ, 57 კგ) მქონე კლავიროლას „ტურ დე ფრანსზე“ ორი მთის ეტაპი ჰქონდა მოგებული. 1990 წელს მან სენ-ჟერვეში იმარჯვა, მომდევნო სეზონში კი — მორზინში.

ფრანგი მრბოლი განსაკუთრებით ძლიერი იმ ეტაპებზე გახლდათ, რომელთა ფინიშებიც ადმარტებში იყო გა-



ტიერი კლავიროლა

ნლაგებული იგი რამდენიმე მრავალდღიანი ტურნირის გამარჯვებულიც იყო, რომელთაგან აღსანიშნავია — „ლიმეზინის ტური“ (1989), „სუბიდა არეტა“ (1990), „ო-ვარის ტური“ (1993). თავმდაბალი და მორცხვი კლავირო-

ლა, სანამ ოცდაათი წლისა პროფესიონალი ველომრბოლი გახდებოდა, მგებდა, მძლეობდა და შავ მუშად მუშაობდა. მისი კარიერა კი გაპროფესიონალიზაციიდან ხუთი წლის შემდეგ გახდა მუშა ნაკლებად ღირსშესანიშნავი, როცა ის საკმაოდ კარგ გუნდ RMO-ში გადავიდა და შარლი მოტეს ერთგული გრეგარი გახდა.

მისი ყველაზე დიდი იმედგაცრეობა 1989 წლის საგზატყვილო მსოფლიოს ჩემპიონატს უკავშირდება, რომელსაც საფრანგეთის პატარა ქალაქმა შამბერში უმასპინძლა. მისთვის ზედგამოჭრილი ტრასა საბოლოოდ მესამე თემ დაამთავრა. არადა, კლავიროლა რუს დიმიტრი კონიშევიანს ერთად კარგა ხნით პელოტონზე წინ მიქროდა თუმცა, ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი დაიჭერსო, ხომ გაგვიგათა ლტოლვილითა გამოდევნების სულისჩამდგმული დიდი ფრანგი მრბოლი, კოსაც „ტურის“ კი აქვს მოგებული, ღორან ფინიში იყო და ფინიშამდე სულ მცირედიდა რჩებოდა, როცა პელოტონი წინასწარულებს დაეწია.

## გაიოზ თალაგამაძე



გაბრიელა საბო და უილსონ კიპკეტერი

**ვაჰირავე ან ვჰიდი**  
გარემონტებულ 1-ოთახიან მხოლოდრებულ ბინას  
სარაჯიშვილის მეტროსთან  
☎ 60 21 23



REUTERS ლიევიდან

### არაბები ლიეჟში

სხვაობა რომ ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლის მატჩებში ღვრიან ოფლს, ამ ჩემპიონატის მასპინძელი ბელგიელები და ჰოლანდიელები ან ერთმანეთს ეთამაშებიან, ანაც სხვა კონტინენტებზე ეძებენ პარტნიორებს ამხანაგური შეჯიბრისთვის. აი, ახლაც ლიეჟს ჩასულა მაროკოს ეროვნული გუნდი და იქაურ „სკლესინის“ სტადიონზე ბელგიელებს უნდა ეთამაშოს. მაროკოელ გულშემატკივრებს დაფა-ზურნითა და ბაიათებით გაუყრუებიათ წყნარი ქალაქი და სტადიონზეც ბაირალები გამოუკიდათ. თუმცა, ამ ბაირალებს უკან ბელგიელები დგანან და სტუმრებს შეახსენებენ, ცაში რომ ღმერთია, ჩვენს მხარეს არისო.



### ქასაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მგ1-f3 d7-d6 3. კ1-b5+ კ8-d7 4. კ5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მ8-c6 6. მხ1-c3 მ8-f6 7. 0-0 გ7-გ6 8. d2-d4 c5:d4 9. მფ3-d4 კ7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მც3-d5 ლ6:e4 12. მდ5-c7+ მფ8-d7 13. მე7:a8 ლ4:c4 14. მა8-b6+ ა7:b6 15. მხ1-c3 კ8-a8 16. ა2-a4 მფ6-e4 17. მც3:e4 ლ4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კ1-g5 ლ4-b4 20. ლb6-f7 კ7-e5 21. h2-h3 გა8:a4 22. გა1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კ5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლგ6-f7 კ2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლ4 30. ლf5+ ლ4-e6 31. ლ6+ მფ:e6 32. გ2-გ3 f:გ3 33. f:გ3 h4 34. კf4 კd4+ 35. მფh3 h3 36. გ4 მფd5 37. გ5 e6 38. h6 მე7 39. კd1 e5 40. კ3



REUTERS ბრიუსელისაგან

### ასეა

ლაღობაც ამას ჰქვია, თქოს ლიგის ამანათბენის მომგებნი ამერიკელი მორის გრინი, მისი თანამემამულე ტონი მაკკოლი და კანადელები ბრუნი სატურნი და ქარიმ სტრიტი-ტომშონი ფოტოგრაფებს ეჯვებებიან ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე. ირბენ, მოიგებ და იხალისებ. ასეა.

### ანუშკა და მელანი

ფლანდრიაში მიდრუსზე ჩოგბურთი ჩოგბურთად მიმდინარეობს და ამერიკის ლია პირველობის გამარჯვებულნიც მალე გამოჩნდებიან, ტრიბუნებზე კი მრავალრიცხოვანი გამოჩენილობანი გამოჩნდებიან ხოლმე. აი, ანა კურნიკოვას არცთუ ბრტყელი გულის ფიტცარიც. მისი ხილვა იმიტომ შეიქნა საქვეყნო საქმე, რომ ანუშკა შვილის გამარჯვების ამბავში ელაზლანდარება მელანი მოლიტორს. ეს უკანასკნელი კი სხვა არავინაა, თუ არა მარტინა შინგისის დედა. ეს წუთია მარტინას ანკე ჰუბერი დაუმარცხებია.



REUTERS ლონდონიდან

### გპარგაეობელი

აი, ამბავი: ბრიტანელი ტელენამყვანი ჯულია ქარლინგი რაგბის მსოფლიო თასის სარეკლამო კამპანიაში ჩაბმულა ლუდ „ჰაინეკენის“ განხრით. ლონდონელ მორაგბეთა გუნდ „გოსპის“ წევრებთან ლაღობას სწორედ ეს მიზანი აქვს. რაგბი შინაური საქმეა ჯულიასთვის, ის ხომ ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტნის უოლ ქარლინგის ყოფილი ცოლია. მაგრამ დახეთ სარეკლამო ბიზნესის კვანტისტრილს! „ჰაინეკენს“ მოუთხოვია, სანამ ეს ამბავია, გვარიც ჰაინეკენად უნდა გადაეკეთო, რასანლა „ქარლინგი“ ლუდის განთქმული ფირმა ბრიტანეთში და ფეხბურთის ლიგას სპონსორობსო. ამით კონკურენტს ვაჯობებთ და ვალადავებთ კიდევო.





I ჯგუფი

შვეიცარია 2:0 ბელარუსი
1:0, 2:0 თურქილმანი (68, 86)
შვეიცარია: ჰუმბერი, პენოვი, დი ჯო-

ბელარუსი: აფანასენკო, იახიმოვიჩი, ლა-
ვრიკო, ლუხვიჩი, ოსტროვსკი, გურე-

იტალია 2:3 დანია
1:0 ფუზერი (10), 2:0 ვიერი (34), 2:1 იო-

იტალია: ბუფონი, პანუჩი, ნესტა, კა-
ნავარო, პანკარო, ფუზერი, ალბერ-

დანი: შმაიხელი, კოლდინგი, პენრიკ-
ლენი, ჰოე, პაინცე, პელევი (ვიერ-

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, etc. for Group I matches.

9.10 ბელარუსი — იტალია,
უელსი — შვეიცარია

II ჯგუფი

საბერძნეთი 2:2 ლატვია
ნორვეგია 4:0 სლოვაკია
1:0 ისტინი (15 ს.კ.), 2:0 ივრსენი (17),

ნორვეგია: ოლსენი, ბერგი, ბერგდოლმუ,
პოფტუნდი, პეტევი, ფლო (ლუნდი 87),

სლოვაკია: სიმეუნოვიჩი (დაბანოვიჩი
46), კნავსი, მილინოვიჩი, ნოვაკი, რუ-

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, etc. for Group II matches.

06.10 საბერძნეთი — ალბანეთი,
09.10 ალბანეთი — საქართველო,
ლატვია — ნორვეგია, სლოვაკია —

III ჯგუფი

მოლდოვა 1:1 თურქეთი
1:0 ბურბანუ (3), 1:1 ტაიფუნი (76)
მოლდოვა: დინოვი, ფისტიკანი, რებე-

თურქეთი: რუსთუ, ბესერლერი, ოჯუ-
ნი, ფათიმი (თუგაი 45), ალფაი, არი-

ბერძნეთი 4:0 ჩრდილოდასავლეთი
1:0 ბირპოლი (2), 2:0, 3:0, 4:0 ციგე (16,
33, 45)
ბერძნეთი: ლემანი, ნოვოტნი (ვიორსნი

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, etc. for Group III matches.



იტალია — დანია 2:3. სტუმართა პირველი გოლის ავტორი მარტინ იორგენსენი (№10) კრისტიან პანუსის გაურბის

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, etc. for Group III matches.

9.10 ფინეთი — ჩრდ. ირლან-
დია, გერმანია — თურქეთი

IV ჯგუფი

სომხეთი 2:3 საფრანგეთი
1:0 მიქაელიანი (6), 1:1 ჯორჯაფი (45

საფრანგეთი: ბარტევი, ტურამი, ლი-
ზარაზუ, კარემბუ, ბლანი, ჯორჯაფ-

გაძეგვა: დეუ (89)
მსაჯი: უზუნოვი (ბულგარეთი)

ანდორა 1:2 რუსეთი
0:1 ონოპკო (22), 1:1 რუისი (39), 1:2

ანდორა: ალვარესი, რამირესი, ესკუ-
რა, გარსია, სონესე, ლიმა, გონსალესი,

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, etc. for Group IV matches.

09.10 ანდორა — სომხეთი, სა-
ფრანგეთი — ისლანდია, რუსე-
თი — უკრაინა

V ჯგუფი

აოლენეთი 0:0 ინგლისი
პოლენეთი: მათიშვი, კლოსი (ბაკი 89),

გაძეგვა: ბუტი (84)
მსაჯი: ბენუ (ავსტრია)

ლუქსემბურგი 0:1 შვედეთი
0:1 ალექსანდერსონი (39)

შვედეთი: პედანი, ნილსონი, პ. ანდერ-
სონი, მიოლბიუ, ლუჩიჩი, ალექსანდერ-

შვედეთი: ფელგენი, ვანეკი, შოუსი,
ბორსენსი, სტრასერი, საიბენე (პოლცი

ფრანგეთი 7 6 1 0 81 19
ინგლისი 8 3 4 1 14:4 13
ბოლონეთი 7 4 1 2 12:6 13

9.10 შვედეთი — პოლონეთი; 10.10
ბულგარეთი — ლუქსემბურგი

VI ჯგუფი

ისრაელი 8:0 სან მარინო
1:0, ბენაიუნი (25), 2:0 მიზრაპი (38),

სან მარინო: ფ. გასპერონი, ტომაზო-
ნი, ჯენაინი, ს. ბაჩიოკე, პელიჩინი,

გაძეგვა: ა. სელვა (75)
მსაჯი: ქაფლანი (თურქეთი)

ესპანეთი 8:0 კვიპროსი
1:0, 2:0 ურსაისი (20, 25), 3:0 გერერო

(33), 4:0 ურსაისი (38), 5:0, 6:0 გერერო
(42, 56), 7:0 მარტინი (82), 8:0 იე-
რო (88)

ესპანეთი: კანისარესი (ხიმენესი 78),
სალგადო, იერო, მარტინი, არანსა-

მსაჯი: ტრენტალანგე (იტალია)

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, etc. for Group VI matches.

10.10 ავსტრია — კვიპროსი,
ესპანეთი — ისრაელი

VII ჯგუფი

სლოვაკეთი 2:0 ლიხტენშტაინი
1:0 ს. ნემეტი (4), 2:0 კარპანი (55)

ლიხტენშტაინი: ფელე, ოსპელტი, მა-
რტინ სტოკლასა, რიტერი, ზეხი, მი-

რუმინეთი 3:0 აზერბაიჯანი
1:0 ილიე (37), 1:1 ფიგუ (45)

რუმინეთი: სტელეა, პეტრესკუ (ნანუ 46),
ჩიბოტარიუ, ფილიპესკუ, გალჩა, პო-

აზერბაიჯანი: გასანი, გეტმანი, პოჩე-
ნი (გომეზოვი 60), გულაივი, ია-

რუმინეთი: კირალი, პრუტკა, კორსოსი,
მატიუსი, სებოკი, პალმაი, ლენდვაი,

მსაჯი: ლაზარესკი (მაკედონია)

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, etc. for various matches.

VIII ჯგუფი

გალტა 2:3 ირლანდია
0:1 კინი (13), 0:2 ბრინი (20), 1:2 საიბი

მაკედონია: მილოშევიჩი (1), 0:2 ბაბუსკი (4ს.კ.),

მაკედონია: მილოშევიჩი, სტანკოვიჩი (38),

მაკედონია: კრალი, მირკოვიჩი (კომ-
ლიენოვიჩი 46), კრსტიჩი, იოკანო-

მაკედონია: ლუმბოზი (სლოვაკეთი)

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, etc. for Group VIII matches.

10.10 ხორვატია — იუგოსლავია,
მაკედონია — ირლანდია

IX ჯგუფი

ზარბრეგი 0:1 ლიტვა
0:1 რამელისი (55)

ფარერები: მიკელსენი, იოჰანსენი, ი.კ.
პანსენი, ტორსტენსონი, პ.ფ. პანსენი,

ლიტვა: სტაუტე (როდონასკასი 79), ზუ-
ტაუტასი, ვენცევიჩუსი, ტრენკინასი,

მსაჯი: რომანი (ბელგია)

ესტონეთი 0:0 შოტლანდია
ესტონეთი: პოომი, პირთია, კრისი, ხო-

შოტლანდია: სალივანი, უეირი, დევიდ-
სონი, დელი, პენდრი, დარანტი (ფერ-

მსაჯი: ნილსონი (შვედეთი)

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, etc. for Group IX matches.

5.10 შოტლანდია — ბოსნია,
9.10 ჩეხეთი — ბოსნია, შოტლანდია —

სარბიელი
საორტული გაზეთი
გამოიცემს 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამომდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოცხვერია
დირექტორი ბიძინაძე
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
ამთანავე გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კორტრაქიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბურაბ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილება გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ქართული განყოფილება კონსტანტინე
გოგიშვილი, სოლომონ გულიასვილი, გიორგი ვაშაქიძე, კობა
ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზენია სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოლაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე
შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიონ
თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის
განყოფილება ვიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპო-
ნდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე; ფოტორეპორტიორები გურამ
დოღენჯიკაშვილი, ბადრი კვიციანი; სტილისტები მია აბზიანიძე,
ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი; კომპიუტერული
ცენტრი ელენე გულუბაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი,
კახა თალაკვაძე, ტრისტან კახუაშვილი, ნინო კედელაშვილი,
დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ
შოთლასვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი; გამო-
შვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
მავზაშვილის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
მისამართი — 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@iberiapac.ge
ელექტრონული ვებ-საიტი
http://www.opentext.org.ge/sarbili